პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 223 (10617)
 კვირა
23
სექტემბერი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დაე ცოცხლობდეს და ჰყვავოდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხთა დიადი მეგობრობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი მეგობრობა

ხვალ, 24 სექტემბერს, სრულდება 155 წლისთავი მას შემდეგ, რაც საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს და სამუდამოდ დაუკავშირდა მოძმე დიდ რუს ხალხს.

XVIII საუკუნის ბოლოს გარეშე მტრების თავდასხმებისაგან ხიხლდაცლილი, ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო ფიზიკური განადგურების აშკარა საფრთხის წინაშე ამყოფებოდა, თავისი ძალებით მას აღარ შეეძლო უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გამკლავება და არც შინაგანი ღრმა სოციალ-ეკონომიური კრიზისისათვის თავის დაღწევა. კატასტროფის საფრთხის წინაშე მყოფი საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა იყო დიდ და ძლიერ რუსეთთან შეერთება, მისი მფარველობის მიღება და ამ გზით ირანელი და თურქი დამპყრობლებისაგან თავის დაღწევა, ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა. ამიტომ რუსეთთან საქართველოს შეერთება უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო და გადამწყვეტი პროგრესული როლი შეასრულა საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა სულ უფრო მტკიცედ რწმუნდებოდა იმაში, რომ ქვეყნის გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან შეერთებით. ქვეყნის მმართველი წრეების მოწინავე ნაწილი, გამოხატავდა რა სამშობლოს ინტერესებს, გადაჭრით დაადგა რუსეთთან შეერთების გზას. ეს პოლიტიკა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქვეყანა დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას: გაძლიერდა სავაჭრო ურთიერთობა, განვითარდა მრეწველობა, გაიზარდა ქალაქების რაოდენობა, დაიწყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აღმავლობა.

რუსეთის მდიდარი კულტურის კეთილმყოფელი გავლენით აღორძინდა, განვითარდა და განმტკიცდა ქართული კულტურა. უდიდესი იყო რუსული კულტურის გავლენა ქართველი ერის ისეთი საამაყო მოღვაწეების შემოქმედებაზე, როგორიც არიან ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და მრავალი სხვა. რუსული ლიტერატურის გიგანტები პუშკინი, გრიბოედოვი, ტოლსტოი, ლერმონტოვი, გორკი და მრავალი სხვა, უდიდესი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ ქართველ ხალხს, მის კულტურას, რომლის განვითარებას ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ.

აღვნიშნავთ რა რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდეს პროგრესულ მნიშვნელობას, ამავე დროს უნდა ვიცოდეთ, რომ მეფის ხელისუფლება ახორციელებდა ხალხის საწინააღმდეგო კოლონიურ რეჟიმს, ძარცვავდა, ექსპლოატაციას უწევდა მშრომელებს, როგორც კოლონიებში, ისე თვით რუსეთში. ამიტომ იყო, რომ რუს ხალხთან ერთად და მისი მეთაურობით ქართველი ხალხი, მთელ რუსეთის იმპერიაში შემავალი მშრომელები დაუცხრომელ ბრძოლას ეწეოდნენ ცარიზმის, კაპიტალიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა უდიდესი ძალით განვითარდა მას შემდეგ, რაც საბრძოლო ასპარეზზე გამოვიდა მსოფლიოში უველაზე რევოლუციური რუსეთის სამრეწველო პროლეტარიატი.

ჩვენი ქვეყნის ხალხებისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძენი ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას და მის გმირულ ბრძოლებს. სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასი და მშრომელები რუსეთის სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოტარა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დასაბამი მისცა კომუნიზმის ერას კაცობრიობის განვითარებაში.

ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა მენშევიკებმა და ყველა ჯურის ნაციონალისტებმა მოახერხეს დროებით მოეწყვიტეთ საქართველო საბჭოთა რუსეთისაგან. მოღალატე მენშევიკურმა მთავრობამ უცხოელ ინტერვენტთა სათარეშო ველად გადააქცია საქართველო. რიგრიგობით ჯერ გერმანია-თურქეთის, შემდეგ ინგლის-ამერიკის ჯარები ძარცვავდნენ ჩვენს სამშობლოს, მენშევიკებთან ერთად ხისხლის მორევში ახრჩობდნენ ქართველ ხალხს.

მენშევიკური მთავრობის გაცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ დაიწყო საქართველოს მშრომელების ბრძოლა ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. ახლაც საჭირო გახდა დიდი რუსი ხალხის დახმარება, რათა საქართველოს მშრომელებს თავიდან მოეშორებინათ უცხოელი ინტერვენტები, მათი მენშევიკ ლაქიები და გამოსულიყვნენ სოციალიზმის დიად გზაზე. დიდმა რუსმა ხალხმა დახმარების ძმური ხელი გამოუწოდა საქართველოს მშრომელებს მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის. საქართველოს აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს ლენინის მითითებით მოეშველნენ ძლევამოსილი წითელი არმიის ნაწილები, დაემხო, მენშევიკური მთავრობის სისხლიანი დიქტატურა, გაიმარჯვა მუშურ-გლეხურმა რევოლუციამ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალ სოციალისტურ საფუძველზე იწყო განვითარება რუს და ქართველ ხალხებს შორის ძმურმა სამარადისო მეგობრობამ. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხების უანგარო დახმარებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად მიაღწიეს თავიანთი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების უმაგალითო აყვავებას. საქართველო მძლავრ ინდუსტრიულ და მრავალდარგიანი აყვავებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაიქცა.

საქართველოს მშრომელებს კარგად ესმით, რომ საბჭოთა რუსეთი რომ არა, არ იქნებოდა საბჭოთა საქართველო. რესპუბლიკის ჩამეურნეო და კულტურული აყვავება, სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობა. ამიტომ არის, რომ ქართველი ხალხი შადლიერების გრძნობით იხსენიებს საუკუნეების მანძილზე რუსი ხალხის მიერ გაწეულ დახმარებას და მთელი ძალით უწყობს ხელს მასთან, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან დიადი მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებას. რაც ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი დაუშრეტელი წყაროა.

საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრები, ყველა ჯურის ბურჟუაზიული ნაციონალისტები ცდილობენ უნდობლობა, შუღლი და მტრობა ჩამოაგდონ სოციალისტურ ერებს შორის, ზიანი მიაყენონ საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობას. იმპერიალიზმის პირსისხლიანი აგენტი ბერია და მისი დამჭაშები ცდილობდნენ დაეთესათ შუღლი და მტრობა საბჭოთა ხალხებს შორის, უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის მიმართ. ბერიას ბანდის მტრული მოქმედების შედეგად საქართველოში უხეშად ირღვეოდა ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპები. ბერია და მისი დამჭაშები მხილებულ იქნენ და ხალხის ნებასურვილით განადგურდნენ ვერავინ ვერ შეძლებს დაარღვიოს საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმობა და მეგობრობა, რომელიც ყოველდღიურად მტკიცდება და ვითარდება.

სიხარულით აღნიშნავს რა რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიულ თარიღს, ქართველი ხალხი დიდ რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით მთელი ენერგიით იბრძვის პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენს დიდ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მაღაროელებმა ცხრა თვის გეგმა შეასრულეს

ჭიათურა. (ტელეგრაფით „კომუნისტის“ საკ. კორ.) ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც ნიკოპოლელ თანამოძმეებს ეჯიბრებიან, 22 სექტემბერს შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა. მაღაროელებმა იკისრეს პირველ ოქტომბრამდი გეგმის გადამეტებით დაამზადონ მილიონობით ნანეთის მარგანეცი, ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს.

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 22 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბელგრადის გაზეთები იუწყებიან, გუშინ საღამოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო ბრიონის კუნძულებზე ჩავიდნენ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე

პეკინი, 22 სექტემბერი. (საკდესი). პეკინში მუშაობას განაგრძობს ჩინეთის კომპარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობა.

დღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე დენ ძი-ხუეი, რომელმაც ილაპარაკა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საკითხზე. შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ირანის სახალხო პარტიის გენერალური მდივანი რადმანეში, კანადის მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი მორისი, ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი პესი. ყრილობაზე წაიკითხეს ტაილანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშები ყრილობისადმი.

მას შემდეგ, რაც ყრილობაზე გამოვიდნენ ცინხაის პროვინციის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი გაო ფინი და „ცინხუას“ უნივერსიტეტის რექტორი ძიან ნან-სიანი, სიტყვა მიეცა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს წევრს ლინ ბო-ძიუს, რომელმაც თავის სიტყვაში გააშუქა ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის მთელი რიგი მომენტები.

შესვენების შემდეგ ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა შარკიმ, სირიისა და ლიბანის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ბაღდაშმა, გვატემალისა და ჩილის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებმა, ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ლევლიენმა და შვეციის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

ოქროს ახალგაზრდები

წერილი კუსტანაიდან

სულ ცოტა ხნის წინათ აქ უკაცრიელი ველი იყო. შეიძლებოდა რამდენიმე დღე გევლოთ და მხოლოდ ჭაღარა ვაციწვერას თუ დაინახავდით, იშვიათად შეხვდებოდით დასახლებულ პუნქტებს. ასეთი იყო კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონი ყამირ მიწებზე დიდი შეტევის დაწყებამდე.

კომუნისტური პარტიის მოწოდებით, საკუთარი გულის კარნახით 1954 წლის მკაცრ ზამთარში ყაზახეთის დაუსახლებელ ველებს მამაცი საბჭოთა ადამიანები ეწვივნენ, რათა დაემორჩილებინათ ყამირი, ჩაეყენებინათ იგი მშრომელთა სამსახურში. სძლევდნენ რა დაბრკოლებებს, ეს ადამიანები გმირულად შრომობდნენ. ასე დამკვიდრდა მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრება კარაბალიკის რაიონში.

წელს ყაზახეთში არაჩვეულებრივი ბარაქიანი ზაფხული იყო. მხვნელ-მთესველთა გამრჯე მარჯვენით დამუშავებულმა ყამირმა მიწებმა ასმაგად გადაიბადეს მათზე გაწეული ამაგი. უხვი მოსავალი მოვიდა ბურლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ზონის კოლმეურნეობებში, რომლებშიც მარცვლეულ კულტურებს 48.000 ჰექტარი უჭირავთ. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენმა მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა აითვისეს 33 ათასი ჰექტარი ყამირი მიწა.

წელს მოსავლის აღების დაწყებამდე ჩვენი მტს-ის მექანიზატორებმა ზონის კოლმეურნეობების წევრებთან ერთად მოაგვარეს მთელი რიგი სერიოზული საკითხები, რომლებიც მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებასთან იყო დაკავშირებული. ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ თანამედროვე მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მაგრამ წლევანდელი უხვი მოსავლის ასაღებად არ გვყოფნიდა მუშახელი, და აი, პარტიისა და კომკავშირის მოწოდებით ყაზახეთის მშრომელთა დასახმარებლად ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი გამოეშურა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან.

ჩვენს დასახმარებლად 210 კომკავშირელი ჩამოვიდა ქალაქ რუსთავიდან. საინტერესო და სასიხარულო იყო მეტალურგებისა და მზვნელ-მთესველების შეხვედრა, მათი საუბარი. და როცა კოლმეურნეობათა მინდვრებზე დიდი მკა გაჩაღდა, რუსთავიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა თავდადებული შრომის ნიმუშები გვიჩვენეს. ბევრმა მათგანმა აქ შეისწავლა კომბაინის, ტრაქტორისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანის მართვა.

ყველაფერი რიგზე როდი დახვდათ ჩვენთან ჩამოსულ ახალგაზრდებს, განსაკუთრებული სიძნელეები იყო საცხოვრებელი ბინების მხრივ. ჯერ-ერთი, ბინები არასაკმაო რაოდენობით აშენდა, და რაც აშენდა, ისინიც არ იყო კეთილმოწყობილი. ამან რიდი შეაკრთო ახალგაზრდა პატრიოტები.

მოკლე დროის მანძილზე რუსთავიდან ჩამოსულებმა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ცენტრალურ კალოზე ხორბლის გაწმენდაზე მუშაობდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. ამ ბრიგადაში, რომელსაც ამხ. ს. ვართანიანი ხელმძღვანელობდა, 35 კაცი იყო გაერთიანებული. ბრიგადა ცვლის გეგმას სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებდა და პირველი ადგილი დაიკავა რუსთავიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. კარგად მუშაობდნენ № 10 და № 11 ბრიგადებიც, რომლებსაც კომკავშირელები ლელიკოვი და ჩუტლაშვილი ხელმძღვანელობდნენ. მექანიზატორთა და კოლმეურნეთა დიდი ქება დაიმსახურა ვინდროუერის (სამკალი) მემანქანემ კომკავშირელმა ჩიბიზოვმა. იგი გეგმას ყოველთვის 300 პროცენტით ასრულებდა. ჩიბიზოვის გამოცდილება გააშუქა რაიონულმა გაზეთმა, მის გამოცდილებას სწავლობდნენ რაიონის მექანიზატორები.

რუსთავიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ნახავდით ყველგან — კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან, საკოლმეურნეო მინდვრებში და კალოებზე. მრავალი მათგანი კოლმეურნეთა შორის სააგიტაციო საუბრებს მართავდა. აგიტატორები იყვნენ, მაგალითად, ლ. ბასილაძე, ვ. ოქროუაშვილი, კაკაევი, აზარაცევი და მრავალი სხვა. ბეროშვილი, მინდიაშვილი, კენჭოშვილი, გულიანცევა, კოსოგოროვა და სხვები მტს-ის კომკავშირელებთან ერთად საბრძოლო ფურცლებს უშვებდნენ.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება რუსთავიდან ჩამოსული კომკავშირელების — ამ ოქროს ახალგაზრდების მამაცური საქმეების საილუსტრაციოდ, რაც ქალაქ რუსთავის კომკავშირულ ორგანიზაციას სახელსა და ღირსებას მატებს.

ჩვენი მტს-ის მექანიზატორები, კოლმეურნეები არასოდეს არ დავიწყებენ იმ ძმურ დახმარებას, რაც მათ საქართველოდან ჩამოსულმა ახალგაზრდობამ გაუწია.

ლ. სალკოვი.

კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონის ბურლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ფრანგული დასის სპექტაკლების წარმატება

ყოველდღე ხალხით არის სავსე მცირე თეატრის დარბაზი, სადაც თავიანთ სპექტაკლებს უჩვენებენ პარიზის ეროვნული სახალხო თეატრის მსახიობები. მოსკოველები მხურვალედ შეხვდნენ ფრანგი კლასიკოსების პიესების — მოლიერის „დონ ჟუანის“, მარივოს „სიყვარულის ზეიმის“, ჰიუგოს „მარიამ ტიუდორის“ დადგმებს და ქებით იხსენიებენ მსახიობთა ნიჭიერ თამაშს.

აგრეთვე წარმატებით ჩაიარა „მარიამ ტიუდორის“ მორიგმა სპექტაკლმა, რომელიც 21 სექტემბერს გაიმართა. მაყურებლები ერთსულოვნად უკრავდნენ ტაშს შემსრულებელ მსახიობებს მარიამ კაზარესს, მონიკა შომეტს, ჟორჟ ვილსონს, როჟე მოლიენს, ფილიპ ნუარეს, დანიელ სორანოს, ჟან-პოლ მულინოს, ლუსიენ არნოს, ჟან-პიერ დარასს, ჟან ტოპარს, ჟორჟ რიკიეს, ჟან ვინკლერს, მორის კუსონოს, ჟორჟ ლიკანს, ანდრე შლესერს, გი სენ-ჟანს, მარკსა და ანდრეს.

მოსკოველებმა ღირსეულად შეაფასეს გამოჩენილი ფრანგი მსახიობისა და რეჟისორის ჟან ვილარის რეჟისორული მუშაობა.

სპექტაკლის მუსიკა ეკუთვნის მორის ჟარს, კოსტიუმები — ლეონ გიშეას.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი.

სპექტაკლს დაესწრნენ აგრეთვე საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მორის დეჟანი და საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ედგარ ფორი.

(საკდესი).

ავსტრიის მინისტრი ბ-ნი კ. ვალდბრუნერი საქართველოში

საქართველოში ორ დღეს იყო სტუმრად ავსტრიის ტრანსპორტისა და ელექტროსადგურების მინისტრი ბ-ნი კ. ვალდბრუნერი.

ბ-ნი კ. ვალდბრუნერი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა. საუბრის დროს მას აინტერესებდა ენერგეტიკის განვითარების საკითხები, რესპუბლიკაში მიმდინარე ჰიდროენერგომშენებლობა.

ავსტრიელი სტუმარი იყო ხრამის მაღალსაწნეო ჰეს-1-ში, რომლის მართვა ხდება ტელემექანიკის საშუალებით თბილისის სადისპეტჩერო პუნქტიდან. ბ-ნმა კ. ვალდბრუნერმა მაღალი შეფასება მისცა ხრამის ჰეს-1-ლის ინჟინერულ ჩანაფიქრს, აღნიშნა, რომ იგი აღჭურვილია თანამედროვე მოწინავე ტექნიკით და რომ იქ სანიმუშოდ უკლიან მოწყობილობას.

22 სექტემბერს ბ-ნი კ. ვალდბრუნერი სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრის პირველი მოადგილის ა. ს. პავლენკოს თანხლებით თბილისიდან სოჭში გაემგზავრა.

ავსტრიის მინისტრი გააცილეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ, საქენერგოს მმართველმა დ. ნ. ჩხეიძემ და სხვებმა. (საქდესი).

ყირგიზეთის სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს და ვადამდე 100,1 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

ვადამდე შეასრულეს აგრეთვე სამკურნალო ნედლეულის ჩაბარების გეგმა 136,5 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 101,5 პროცენტით, კვერცხის ჩაბარების გეგმა — 101,2 პროცენტით, ბეწვეულის და საბეწვეულე ნედლეულისა — 102 პროცენტით.

ამეამად რესპუბლიკის კოლმეურნეობები, მტს-ები, საბჭოთა მეურნეობები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით განახორციელონ ბამბის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ლაფნეული კულტურების მოსავლის აღება და დამზადება, დაამთავრონ მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება, გააჩაღონ საშემოდგომო თესვა, სავსებით უზრუნველყონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკუთარი თესლით, დაამზადონ საკვები, ააშენონ მეცხოველეობის სადგომები, ვადამდე შეასრულონ ხორცის, მატყლისა და რძის დამზადების გეგმა.

კამის ჰესის მეცხრამეტე აგრეგატი

მოლოტოვი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს წინასწარი გამოცდის შემდეგ კამის ჰესში სამრეწველო დენი მოგვცა მესამე სექციის მორიგმა აგრეგატმა. ეს სათვალავით მე-19 ჰიდროტურბინგენერატორია, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა კამის ჰიდროკვანძში.

გამომუშავებულია 15 მილიონი ფუთი შაქარი

კიევი, 21 სექტემბერი. (საკდესი). უკრაინის შაქრის მრეწველობის საწარმოებში შარშანდელზე გაცილებით ადრე დაიწყო საწარმოო სეზონი. რესპუბლიკის თითქმის ყველა ქარხანაში მიმდინარეობს ახალი მოსავლის ჭარხლის გადამუშავება. ნედლეულის გადამუშავების სადღეღამისო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებდნენ ხმელნიცკის, პოლტავის, ლვოვისა და კიევის შაქრის ტრესტების საწარმოები.

სეზონის დაწყებიდან უკრაინის შაქრის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა გამოუშვეს 15 მილიონი ფუთი შაქარი — 10 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის.

იგი (პუშკინი) კავკასიის ერთადერთი მომღერალია: მას სულით და გულით, მთელი გრძნობით უყვარს კავკასია; იგი გამსჭვალული და გაუღენთილია მისი თვალწარმტაცი მიდამოებით, სამხრეთის ცით, მშვენიერი საქართველოს ველებით...

ნ. ვ. გოგოლი.

* * *

...ევროპის ხალხები მიაშურებენ სამეგრელოსა და იმერეთს, სადაც მათ შესთავაზებენ იმავე... ნაწარმს, იმავე რაოდენობით და იმავე ღირებულებისას, რომელსაც მანამდე მეორე ნახევარსფეროში დაეძებდნენ...

ა. ს. გრიბოედოვი.

* * *

სიტყვებით ძნელია იმის გამოხატვა, თუ როგორ მიმიწევს გული თბილისისაკენ. თვით მეც ვერ გამიგია, რას ემყარება ჩემი სრულიად განსაკუთრებული სიმპათია ამ ქალაქისადმი.

ჰ. ი. ჩაიკოვსკი.

* * *

გზა ბათუმიდან თბილისამდე სახელგანთქმული სურამის უღელტეხილით ორიგინალური და პოეტურია; ფანჯარას თვალს ვერ აშორებ, გაოცებს მთები, გვირაბები, კლდეები, მდინარეები, ჩანჩქერები.

ა. პ. ჩეხოვი.

დიმიტრი გულია
აფხაზეთის სახალხო პოეტი

ლაპარაკობს მოსკოვი!

მთიდან მოფრენილ მზის სხივთან ერთად
შემოიჭრება ბნელის მომხპობი —
ხმა დიადი და ხმა — გულის ფეთქვა:
— ლაპარაკობს მოსკოვი!
— ლაპარაკობს მოსკოვი!
ეს ხმა ნათელი წვიმაში, ქარში,
როგორც მზის სხივი გაარღვევს სივრცეს,
შავ ღრუბლის ფენებს დაფლეთს და
დაშლის,
რომ ჩემს გულს სითბო და ცეცხლი მისცეს.
ეს ხმა ნათელი მიმოდის ჩვენთან,
ეგი ამ ქვეყნად ყველგან საუბრობს,
ის მეხმარება და ის მყავს მრჩევლად
და მმატებს ძალას უფროდაუფრო.
ვგრძნობ, მკერდში სისხლი ლაღად
მღელვარებს,
ვგრძნობ ჩემს კუნთებში ახალ ძალღონეს,
როცა დამირბენს ეს ხმა ელვარე, —
გამომამფხიზლებს და შთამაგონებს,
როგორც ზღვის ტალღათ კლდეზე
დგაფუნი
მოვა და ხალისს ჩამინთებს გულში,
და შემართება მსურს ვაყაცური,
ვიდრე გუშინწინ და ვიდრე გუშინ.
მსურს მთელი ძალა და ცოდნა მივცე,
მთელი სიცოცხლე, შრომაც ბეჯითი...
— ლაპარაკობს მოსკოვი!..
მსოფლიო ამ ხმას იმედით ისმენს,
ამ ხმის მართალ და სწორი გზით მიდის.

თარგმანი **ალექს. შენგელიასი.**

ძმური საჩუქარი

ჩვენ გუშინდელივით გვახსოვს ის სიხარული, რაც ქუთაისისა და მთელი საქართველოს მშრომელებმა განიცადეს, როდესაც მივიღეთ ცნობა — რუსეთის მუშათა კლასმა, მოსკოვმა, საბჭოთა მთავრობამ საქართველოს მშრომელებს ფაბრიკა აჩუქესო. განსაკუთრებით განუზომელი იყო ჩვენი აღტაცება, როცა რკინიგზის ქუთაისის სადგურზე ფაბრიკის მოწყობილობითა და ნაწილებით დატვირთული ეშელონი ჩამოდგა, როცა აქ, ფაბრიკისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, რუსეთიდან გამოგზავნილი სპეციალისტების დახმარებით მანქანა-დანადგარების აწყობას შევუდექით. ამ სპეციალისტებიდან ახლაც ქუთაისში ცხოვრობს ივანე ივანეს-ძე ანანინი.

გაზეთი „მუშა და გლეხი“ (საქართველოს კპ ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო) 1923 წლის 25 თებერვალს წერდა: „ერთ ფრიად საინტერესო საქმეს ჩაეყარა საფუძველი ქუთაისში. აქ ამუშავდება საქართველოს პირველი საქსოვი ფაბრიკა. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის... ფაბრიკის თითქმის ყველა ნაწილი ქუთაისშია. ფაბრიკის მოწყობა დაწყებულია. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა გავიგონოთ ქუთაისში მანქანების გამაცოცხლებელი გუგუნი“.

1924 წელს ამ მანქანების გუგუნი მართლაც გაიგონეს ქალაქის მშრომელებმა. გამოშვებულ იქნა პირველი პროდუქცია.

ფაბრიკა ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის საინტენდანტო სამსახურის ყაზარმებში გავმართეთ. ახლა ამ ყაზარმებიდან აღარაფერია დარჩენილი.

ყოველწლიურად იზრდებოდა ფაბრიკის პროდუქცია. თუ 1924 წელს მან 18 ათასი მეტრი ქსოვილი გამოუშვა, 1940 წელს მისმა წარმადობამ 430 ათას მეტრს მიაღწია.

კიდევ უფრო კარგი პერსპექტივები გადაიშალა ფაბრიკის წინაშე ომისშემდგომ ხუთწლედებში. იგი ახლა მთლიანად უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი.

ამ გამარჯვებებს ქმნიდნენ და ქმნიან ფაბრიკის სახელოვანი ადამიანები, რომლებიც წარმატებით დაეუფლნენ საფეიქრო საქმის მეტად საინტერესო და რთულ ტექნიკას. ბევრმა მათგანმა დიდი ხანია გაუსწრო დროს, შეაკვირა ცალკეული საწარმოო პროცესებისა და ნორმების შესრულების ვადები. მქსოველები ჟ. ჯიმშელეიშვილი, ო. ივანიკოვა, ე. ეფენკოვა, ვ. ციცაძე, მრთველები ნ. ტყეშალაძე, ვ. მახროვა, დ. მოდებაძე, ქვეოსტატები და ოსტატები ბ. გაბადაძე, გ. თაბუაშვილი, გ. ხვედაძე, ი. ზირკალინი, ვ. გოგლიძე, ლენინგრადის, მოსკოვისა და ივანოვოს საფეიქრო მრეწველობის უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი ინჟინერები ჭ. ლომაძე, ც. ინანეიშვილი, ვ. პეტროსოვა და მრავალი სხვ. თავიანთი შემოქმედებითი აქტივობით და თავდადებული შრომით იკავებენ მშობლიური ფაბრიკის კოლექტივის სახელს და ღირსებას. მათ გვერდში უდგანან მოწინავე მუშები და სპეციალისტები გ. ლორთქიფანიძე, ვ. იმედაძე, ნ. თევზაძე, ლ. ფიდელი, ა. რაზმაძე, ვ. ჭეიშვილი, პ. ნამჩევაძე, რ. ქორიძე, შ. რუხაძე, ტ. გვარამაძე, რომლებიც მესამედი საუკუნეა აქ მუშაობენ და მთელ კოლექტივში დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობენ.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ამჟამად მთელი ენერგიით იბრძვის მეექვსე ხუთწლედის გეგმით დასახულ დიად ამოცანათა განხორციელებისათვის. ფაბრიკა 1956-1960 წლებში გამოუშვებს 5 მილიონამდე მეტრ მზა ნაწარმს.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის გახსნა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯთაგანი იყო საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღორძინების, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე. აბას ჩვენ ვუმადლით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მძლავრ საბჭოთა მთავრობას, დიდ რუს ხალხს!

ი. ზაქარიაძე,
საქსოვი საამქროს მექანიკოსი;
ი. ძილარჯიანი,
საქსოვი საამქროს უფროსი;
ნ. ზავადსკი,
საქსოვი საამქროს ქსოვის ინსტრუქტორი.

* * *

სურათზე: ქუთაისის მაუდის ფაბრიკის უძველესი მუშა, მექანიკოსი ი. ზაქარიაძე ახალგაზრდა მუშებს აცნობს ფაბრიკის ისტორიას.
ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

შემოქმედებითი თანამეგობრობა

50 წელზე მეტია, რაც სცენაზე ვმუშაობ და მეგონა, შემოქმედებითი სიძნელეების ყველა გზა მქონდა განვლილი, მაგრამ როცა პიესა „ხევისბერ გოჩაში“ მთავარ როლზე დავიწყე მუშაობა, ვიგრძენი, რომ ეს ასე როდი ყოფილა. საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობით მე დავრწმუნდი, თუ რა მაღალ მოთხოვნებს უყენებენ თეატრის მუშაკებს ქართველი მაყურებლები. გოჩას როლის მომზადებას მიადვილებდა ის ფაქტი, რომ ჩვენი ხალხები ერთიანი არიან თავიანთი გრძნობებითა და სიყვარულით სამშობლოსადმი. ხევისბერი გოჩას სახის შექმნისას ვიცოდი, რომ საჭირო იყო ღრმად გავცნობოდი ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მათს ზნე-ჩვეულებას, მტკიცე ხასიათს, სისპეტაკეს.

ქართველ მსახიობებთან მჭიდრო კავშირმა, კერძოდ რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების კოლექტივებთან შეხვედრებმა, მათთან შემოქმედებითმა თანამეგობრობამ საშუალება მოგვცა მაყურებლისათვის გვეჩვენებინა საინტერესო და სრულყოფილი სპექტაკლი.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივი საქართველოს კულტურის ფრონტის მუშაკებთან ერთად დაუღალავ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა, აქტიურად მონაწილეობს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაჭრისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

კ. დოგჟინსკი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

იოსებ ნონეშვილი

დიდება

ხმალი ბრძოლაში გვქონდა ნაცვეთი,
ვეწირებოდით დროშებს ნატყვიარს.
რუსი მოძმისთვის ბრძოლის ქარცეცხლში
ქართველს არასდროს უღალატია.
როცა მოძმის მკერდს ფლეთდა ისარი,
ჩვენს გულსაც სწვავდა მწვავე იარა.
ჩვენ, როგორც ცოტნე, მეგობრისათვის
სიკვდილს ვარჩევდით, სირცხვილს კი არა.
დიახ, მრავალჯერ ჩვენ ჩვენი ნებით
ერთურთის ბედი გავინაწილეთ.
მუდამ ერთად ვართ, როგორც ეს მთები,
მხრებით რომ ჰკვეთენ მეხს და ქარწვიმებს.
ვინა სთქვა თითქოს იწყება ახლოს
ალალი ძმობის სათავე წმინდა.
მაშ რად მოგვყავდა თამარის საქმრო
ვოლგის და დონის შორეულ მხრიდან.
რად ჰქონდათ არჩილს, თემურაზს, ვახტანგს
რუსეთისაკენ გაწვდილი ხელი.
რადა სთქვა ხალხმა, პატარა კახმაც:
„რუსეთი არის ივერის მხსნელი“.
ქართული გულით, ვაუკაცურ მკლავით
რუს ძმებთან ერთად ბევრჯერ იომა;
ბოროდინოსთან შესწირა თავი
დიდ რუსეთს პეტრე ბაგრატიონმა.
ამ ძმობის ძალას ვინ არ ენდობა,
ძმობა დიდებით ვინ არ ახსენა.
სისხლი დაღვარა გრიბოედოვმა
ქართველ ტყვეების გამოსახსნელად.
როცა პუშკინი თვალანანთები
ჭვრეტდა ჩვენს სოფლებს — არწივთა ბუდეს,
კავკასიონის ჭაღარა მთები
კრძალვით უხდიდნენ ნისლების ქუდებს.
და ახლა, როცა რუსსა თუ ქართველს
დაგვნათის ძმობის დროშა გიზგიზა,
კავკასიონის თოვლიან კალთებს
ეცემა შუქი კომუნიზმისა.
რუსს, ქართველს, სომეხს ერთი გვაქვს ყველას,
დიად მიზნისკენ გზა და მანძილი
და ცისარტყელა ჩვენს შორის ელავს,
ვით სამეგობროდ ხელი გაწვდილი.
პირველი ხვდება გრიგალს და ქარცეცხლს,
— დიდება რუს ხალხს! — ძმას და მეგობარს.
ჩვენ რომ მოძულეს თავზარი დავცეთ,
მისი ალალი ძმობაც გვეყოფა.
რუსეთთან ერთად, რუს ხალხთან ერთად
ყველა სიძნელე გვიადვილდება.
მიტომ გაისმის ჩვენი ხმა მკვეთრად:
— დიდება რუსეთს!
— რუს ხალხს დიდება!

რუს მეცნიერთა მხარდამხარ

უდიდესი და მეტად მრავალფეროვანია ის ბეშმარიტად ძმური დახმარება, რასაც რუსული საბჭოთა მეცნიერება უწევდა და უწევს ჩვენს რესპუბლიკას მეცნიერების განვითარებაში. კერძოდ, თუ საბჭოთა საქართველოს ამჟამად ჰყავს მძლავრი უმაღლესი ტექნიკური ინტელიგენცია, ჰყავს ტექნიკის მეცნიერებათა შესანიშნავი მკვლევარები, რომელთაგან ბევრმა სახელი მოიხვეჭა მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც, — ამაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის რუსულ მეცნიერებას.

პირადად მე უმაღლესი ტექნიკური განათლება მივიღე საბჭოთა რუსეთში, ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დიდი ლენინის ქალაქშიდვე, ლითონის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში და კიროვის სახელობის ქარხანაში, მივიღე მეცნიერული წრთობა აკადემიკოსების ა. ა. ბაიკოვისა და ნ. ტ. გუდცოვის უშუალო ხელმძღვანელობით. ჩემთვის მუდამ ტკბილი მოსაგონარი იქნება ის ნათელი წლები, როცა რუს მეცნიერთა შორის და ჩემს ტოლ რუს კოლეგებთან ერთად ვშრომობდი და ვსწავლობდი. არასოდეს არ დამავიწყდება მათი გულითადი მოპყრობა და ძმური დახმარება. მე ახლაც განვაგრძობ ბევრ მათგანთან მჭიდრო მეგობრობასა და შემოქმედებითს თანამშრომლობას, რაც დიდად მიწყობს ხელს მეცნიერულ მუშაობაში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის დახმარება და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტს, აგრეთვე პირადად მე გვაკავშირებს ჩემს მასწავლებლებთან და ჩემს ძველსა და ახალ კოლეგებთან — საერლოვან რუს მეცნიერებთან: აკადემიკოსებთან ი. პ. ბარდინთან და გ. ვ. კურდიუმოვთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებთან ა. მ. სამარინთან, ი. მ. პავლოვთან და გ. ვ. აგეევთან, პროფესორებთან ი. ი. კორნილოვთან, ო. ე. ზვიაგინცევთან, ი. ა. ნიხინძისთან და სხვებთან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკად. ა. ა. ბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტში აღზრდილი არა ერთი და ორი მეცნიერი ახლა წარმატებით მოღვაწეობს ჩვენს ინსტიტუტში, ხოლო ჩვენთან აღზრდილი მეცნიერი მუშაკები ნაყოფიერად შრომობენ აკად. ბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტში. ცალკე უნდა დავასახელო ჩვენი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი გ. კ. გედევანიშვილი, რომელიც დიდი რუსი მეცნიერის დ. კ. ჩერნოვის მოწაფეა. ასევე აკად. ი. პ. ბარდინისა და პროფ. პ. მ. ლუკიანოვის ხელმძღვანელობით აღიზარდა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი-ელექტროქიმიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. ი. აგლაძე. სსრ კავშირში ელექტროთერმიისა და ელექტრომეტალურგიის ფუძემდებლის, დიდი რუსი მეცნიერის პროფ. მ. ს. მაქსიმენკოს უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა ჩვენი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი ელექტრომეტალურგიის დარგში გ. შ. მიქელაძე.

შეიძლებოდა კიდევ მრავალი მაგალითის დასახელება როგორც ჩვენი ინსტიტუტის სინამდვილიდან, ისე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და რესპუბლიკის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სინამდვილიდანაც. ამჟამად მოსკოვში სამეცნიერო კვალიფიკაციას ეუფლება და იმაღლებს ათობით ქართველი ასპირანტი და მეცნიერი მუშაკი ენერგეტიკის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ავტომატიკის, სამშენებლო საქმის, ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და სხვა დარგებში.

მომმე რუსეთის სამეცნიერო დაწესებულებების ძმური ხელშეწყობა საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებისადმი სულ უფრო იზრდება აგრეთვე დიდი ტექნიკურ-მატერიალური დახმარების სახით. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის გულს გაახარებს ის დიდი მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, რაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკად. ა. ა. ბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტმა სულ ახლახან აღმოუჩინა ჩვენს ინსტიტუტს თანამედროვე მეტალურგიული მეცნიერების განვითარებისათვის მეტად საჭირო ძვირფასი და უნიკალური საკვლევაძიებო დანადგარებისა და ხელსაწყოების უსასყიდლოდ გადმოცემით, რაც განხორციელდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკად. ი. პ. ბარდინის ინიციატივით.

საბჭოთა საქართველოს მეცნიერები დიდად აფასებენ მომმე რუსეთის მეცნიერთა უანგარო, ძმურ დახმარებასა და მზრუნველობას. ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივი გააორკეცებს თავის მუშაობას, რათა ჯეროვნად უპასუხოს ამ დახმარებასა და მზრუნველობას. თვითეული ჩვენგანი კიდევ უფრო მეტი მონდომებით, თავდადებულად იშრომებს, რომ დიდი რუსეთისა და ყველა სხვა მომმე რესპუბლიკის მეცნიერთა მხარდამხარ ნაყოფიერი მუშაობით ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის იმ გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში, რაც დაგვისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პროფესორი შ. თავაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორი.

ქართული პროფესიული თეატრის სათავეებთან

ჩვენი ხალხი, რომელიც შრომას უმღერდა ჰმღნს, მკერდით იცავდა თავის მიწა-წყალს და მტლად ედგებოდა მის თავისუფლებას, კარგი სომლხენიც იყო, როცა კი საშუალება ეძლეოდა შეესვენა, მუხლში ქარი ამოეღო და ხმალი ქარქაშში ჩაეგო.

მაგრამ ჰქონდა კი ამისი საშუალება? განა სისხლის წვიმების დროს, კოწალინის ბრძოლის ბავშვი ტრაგედიებისას, როცა ხალხი ქუდზე კაცს უხმობდა, როცა ერის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა, აგონდებოდა ვისმე პოეზია?

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგი ქართული ერის ცხოვრებაში, როგორც ცნობილია, დიდი გარდატეხის პერიოდია. მძლავრმა რუსეთმა საქართველოს ჩამოაშორა მისი ისტორიული მტრები — ირანელი და თურქი დამპყრობნი და ხალხს ფიზიკური არსებობა შეუნარჩუნა.

და დაიწყო ჩვენი სამშობლოს აღორძინება, მიყენებული ჭრილობების მოშუშება, დანგრეულის აღდგენა და განახლება.

წელში მომაგრებულ ხალხს, რომლის კულტურაც საუკუნეებს ითვლიდა, ესაჭიროებოდა სულიერი სიხარდოკ. ან როგორ შეეძლო უამისოდ ცხოვრება იმ ერს, რომელიც წმიდად ინახავდა შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას, თაობიდან თაობაზე გადასული წარმტაც მელოდიებს, ხალხური პოეზიის მარგალიტებს, ხეროთ-მოძღვრების იშვიათ ნიმუშებს და სხვა მრავალ საგანძურს.

ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად ერის კულტურის აღდგენამაც შეუწყო ხელი ჩვენს ხალხს ახლად შეძენილმა ძმამ — დიდმა რუსეთმა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების ჰრველსავე წლებში თბილისში დაიწყო შინაური წარმოდგენები, რომლებშიც რუსებთან ერთად ვონაწილეობას ქართველებიც იღებდნენ.

1803 წლის 10 თებერვლის თარიღით გაგზავნილ მოხსენებაში ჰ. ციციანოვისადმი საქართველოს მმართველი პ. ი. კოვალენსკი წერდა: „ტფილისში თეატრის მოწყობა მოხდა ჩემი წინადადებით, ჩვენი საერთო შეთანხმების საფუძველზე გრაფ მუსინ-პუშკინთან (ცნობილი რუსი მეცნიერი, ფიზიოლოგი და მინერალოგი), სამხედრო გენერალიტეტთან და რუსეთის სხვა მოხელეებთან, აგრეთვე სამეფო სახლის წევრებთან და აქაურ თავადებთან. თეატრი მოწყობილ იქნა შეძლებისდაგვარად, თვითეულის ხელის შეწყობით. თეატრში თამაშობდნენ სკეინსკოყვაერენი სამოქალაქო კეთილშობილ მოხელეთაგან, რომელთა შორის უმეტეს ნაწილს ჰქონდა ამის პრაქტიკა“.

თანდათანობით შინაურ წარმოდგენებს უფრო სისტემატური ხასიათი მიეცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავარმართებლად დაინიშნა საგელგანთქმული გენერალი ალექსი პეტრეს-ძე ერმოლოვი. ერმოლოვს ძლიერ უყვარდა სანახობა-გართობები. მისი ინიციატივით სასახლეში ხშირად ეწყობოდა ბალები, სალიტერატურო საღამოები და შინაური წარმოდგენები. სასახლეში იკრიბებოდა მთელი თბილისის საზოგადოება. საღამოები ეწყობოდა „ხუთშაბათობით“ და „კვირაობით“.

გასართობების მოწყობას რომ უფრო ფართო ხასიათი მისცემოდა და მეტი მაყურებელი დასწრებოდა, ერმოლოვის ნებართვით თბილისში 1819 წელს გაიხსნა თავგასართობი კლუბი. ამ კლუბთან მოეწყო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საცეკვაო დარბაზი, სცენა. კლუბი ყოველ საღამოს ღია იყო და სხვადასხვა გასართობი სისტემატურად ეწყობოდა.

სალიტერატურო და მუსიკალური საღამოები ეწყობოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის, პუშკინისა ორსენიევაახვერდოვას და სხვათა სალონებში. პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში იკრიბებოდნენ ინდოორინდელი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. რუსეთიდან ჩამოსულთ, სტუმრებს თუ საზოგადო მოღვაწეებს, გულღიად ხვდებოდა მასპინძელი. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს და მისი კეთილდღეობისათვის მოუბრინაზულეს, კარგად ესმოდა 1801 წლის აქტის მნიშვნელობა და თავისი ლექსი „კავკასიას“ ასე დაამთავრა:

„განიხსნა გზა და ეშვათ ევერელთა
სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის
განათლება“.

სტუმრებისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში ეწყობოდა ნამდვილი ქართული ტრადიციული ლხინი. აქ ვაისმოდა მშვენიერმეტყველი თამადის გრძნობით აღსავსე გონივრული სტყვები, აქ კამათობდნენ ლიტერატურაზე, ქვეყნის სვებედზე. ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში წაიკითხა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა, აქ გაისმოდა ფორტეპიანოზე წარმტაცი მელოდიები ალექსანდრე გრიბოედოვის შესრულებით, აქ ატკბობდნენ მუსიკით და სიმღერით სტუმრებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ტურფა მეზეიდ ვორონცოვს საკმარისად არ მიაჩნდა მარტო რუსული დასის დაარსება. მას უნდოდა თეატრს მეტი მაყურებელი ჰყოლოდა, რუსული ენა კი ადგილობრივი მოსახლეობის დემოკრატიულმა ნაწილმა არ იცოდა. გარდა ქართველებისა, თბილისში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა დიდმა ნაწილმა — სომხებმა, თათრებმა და სხვ. კარგად იცოდნენ ქართული ენა, ამიტომ ვორონცოვმა მიზანშეწონილად ცნო ქართული თეატრის დაარსება.

ვორონცოვმა შეიტყო, რომ სოფელ ხიდისთავში მცხოვრებ გიორგი ერისთავს დაწერილი აქვს სამთო „გაკრა“ ქართველი თავადაზნაურობის ცხოვრებიდან. გამოიძახა ერისთავი, ესაუბრა მას და დაავალა ამ კომედიის წაწერილი. რეპეტიციებისათვის ქეთევან ორბელიანმა თავისი ბინა დაუთმო. გაზეთი „ივერია“ 1893 წლის № 1-ში წერდა: „რეპეტიცია ამართებოდა სენატორის გიორგი ერისთავის შვილის სახლში (ეფეკის ხიდთან „ლონდონის“ სასტუმროს პირდაპირ). მისი რძალი ელენე მასპინძელი იყო თეატრის მაყურებელთა, მისი რძალი ქეთევან (მამუკა ორბელიანის მეუღლე) გამძღოლი, რიგის მიმცემი, ავანჩავანი იყო მთელი ამ საქმისა“.

რეპეტიციებს თურმე ძალიან დიდხანს არ მოუნდნენ, როგორც მოყვარულთა წესია, რადგანაც ყველამ ზეპირად იცოდა პიესა. გიორგი ერისთავი (ავტორი) თვითონ რეჟისორობდა და ერთ როლსაც თამაშობდა.

ვორონცოვმა წარმოდგენის წინ ამ პიესას ცენზურა მიანდო ვასილ იოსების-ძე ბებუთოვს, რომელსაც წაუკითხა თვით ავტორმა. წაკითხვის დროს ბებუთოვი სიცილით აღარ იყო თურმე. მოახსენა ვორონცოვს, არაფერი დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვს პიესას წარმოდგენასო. ამბობენ, რომ უკანასკნელი გენერალური რეპეტიცია თვით ვორონცოვთან იყო. მთავარმართებელი წინათაც დროგაბმულებით ესწრებოდა რეპეტიციებს და ახალისებდა მოთამაშეებს.

ეს კომედია 1850 წლის 2 იანვარს წარმოდგენილ იქნა თბილისის გიმნაზიის დარბაზში. ამ დღიდან საძირკველი ჩაეყარა გიორგი ერისთავის პროფესიულ, რეალისტურ თეატრს.

ა. გურთიკაშვილი.



სურათზე: თბილისის პირველი სახელმწიფო თეატრის შენობა.

მეგობროობის დროშით

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან გავიგეთ, რომ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა დიდ წარმატებას აღწევს მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ჩვენ დავინტერესდით რუსი კოლმეურნეების შრომის ორგანიზაციითა და მეთოდებით და გადავწყვიტეთ ახლო ურთიერთობა დაგვიმყარებინა ტიმონინოელებთან. მივწერეთ მათ წერილი, ვთხოვეთ გაეზიარებინათ ჩვენთვის თავიანთი მოღაწეობა გამოცდილება.

რუსი მეგობრებისაგან ჩვენს წერილზე გულთბილი პასუხი მივიღეთ. გვატყობინებდნენ, რომ სიხარულით გაგვიზიარებდნენ გამოცდილებას, ამასთან გამოგვიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში და გვთხოვდნენ სტუმრად ჩავსულიყავით მათთან.

ეს იყო 1953 წლის ოქტომბერში. ჩვენი კოლმეურნეობის დელეგაცია ტიმონინოელებს ესტუმრა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ქ. მოსკოვის კურსკის ვაგზალზე ტიმონინოელები ყვავილების თაიგულებით შეგვხვდნენ და მეგობრულად გადაგვეხვივნენ. ათ დღეს დავრჩით მოსკოვში. მოკლე დროში ტიმონინოელებმა საფუძვლიანად გაგვაცნეს შრომის თავიანთი მეთოდები, ორგანიზაცია და კოლმეურნეობის ეკონომიკა. კოლმეურნეთა საზოგადო კრებას გვაცანით სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ურჩევეი მეგობრობის აღსანიშნავად ამ კრებაზე ტიმონინოელებს გადავეცით წითელი დროშა. იმავე წლის ნოემბერში, რუსი მეგობრები გვესტუმრნენ ორთაჭალაში და გადმოგვცეს დროშა. ამ დროშებს ჩვენმა კოლმეურნეებმა სამართლიანად უწოდეს „მეგობრობის დროშები“.

ამის შემდეგ ყოველწლიურად ნოემბერში ვხვდებით ერთმანეთს როგორც ტიმონინოში, ისე ორთაჭალაში, ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას, ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებს.

ჩემს მუშაობაში ხშირად მხვდება დაბრკოლება, ზოგჯერ მიჭირს ამა თუ იმ საკითხის გადაჭრა. მაშინ წერილით მივმართავ-ხოლმე ჩემს მეგობარს, ტიმონინოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. პუზანჩიკოვს, რჩევას ვკითხავ და ისიც დაუყოვნებლივ მიპასუხებს, მაძლევს საქმიან რჩევა-დარიგებას, რაც დიდად მეხმარება მუშაობაში.

ხშირი მიწერ-მოწერა აქვთ ბერეთვე ჩვენი კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავებს ნ. ქაჯაიასა და ვ. ივანიკოვას ტიმონიოელ ცნობილ მწველავ სოციალისტური შრომის გმირ პ. ნოვიკოვასთან. მებოსტნეობის მეცხრე ბრიგადის ხელმძღვანელი ისა ხალილ ოღლი დატიმონინოელი მებოსტნეობის ბრიგადირი ვ. ბლოხინიც ხშირად წერენ ერთმანეთს მეგობრულ წერილებს. საქმიანი რჩევა-დარიგებით ისინი შრომაში მრავალ წარმატებას აღწევენ. ნ. ქაჯაიამ, რომელსაც 17 ძროხა ჰყავს მოსაველად მინაგრებული, თვითეულზე 20 სექტემბრამდე 2.800 კილოგრამი რძე მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.700 კილოგრამისა.

რუს კოლმეურნეებთან მეგობრობამ ბევრი რამ შეგვძინა. მათი პროგრესის მიხედვით ვიზეგზით საძროხეებს, ავაგეთ გიგანტური სათბური, რაც საშუალებას გვაძლევს წლის ყოველ დროს მოვიყვანოთ ბოსტნეული. მიმდინარე წელს ჩვენ თბილისელ მშრომელებს 2.500 ტონაზე მეტი ბოსტნეული მივიტანთ.

ჩვენი მეგობრების მაგალითისამებრ ყოველწლიურად ვზრდით ძროხის წველადობას: 1953 წელს თვითეულ ძროხაზე 1.592 კილოგრამი რძე მივიღეთ, 1954 წელს კი — 2.304 კილოგრამი, ხოლო გასულ წელს 200 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მივიღეთ — 2.812 კილოგრამი. მიმდინარე წელს უფრო მეტს ველით.

გასულ წელს ჩვენი კოლმეურნეობის ფუნდამ შემოსავალმა 3 მილიონ 700 ათას მანეთს გადააჭარბა, ხოლო ტიმონინოელების ფუნდადი შემოსავალი 3.150 ათასი მანეთი იყო. ჩვენი მიზანია მომდინარე წელს უფრო მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიოთ.

ა. მიგრიაული,
გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

* * *

სურათზე: ორთაჭალელი კოლმეურნეები სტუმრად მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

პირველი გაცნობა

ხუთი შეგირდი: გიგა ბეჟანიშვილი, ვეფხია ხალიბაური, ჰიჰეკო შუბითიძე, თეიდო გაგლოშვილი და დიმიტრი დანელია წარუდგინეს მეფოლადე ვასილ ივანიჩ ბულატოვს. ეს იყო ორმოცი-ორმოცდახუთი წლის შუალანის მამაკაცი, ოდნავ მრისხანე სახით და მოკისფრო თვალებით. მას პირიც და თავიც ერთნაირად, პირწმინდად ჰქონდა გაპარსული.

— ესენი თქვენი მოწაფეები იქნებიან, — უთხრა მას ცვლის ოსტატმა — მაღალმა და ულვაშებდაკიდულმა მამაკაცმა და მაშინვე გაემართა მეორე ღუმელისაკენ.

ვასილ ივანიჩმა ოდნავ მიმოავლო თვალი შეგირდებს და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნუ, ხორშო! — და ცოტა სიჩუმის შემდეგ დასძინა: — ბუდეტე პუტატსია უ მენჩა ვ ნოგახ.

მერე მოუალერსებელად გაულიმა ყველას და ამით გათავდა მათი პირველი საუბარი. მობრუნდა, მარტენს მიაშურა, ლურჯი სათვალით ღუმელში ახაფხაფებული ფოლადი შეათვალიერა, შემდეგ იქვე ერთმანეთში ჩახლართული მილების ონკანები და ვენტილები ზოგი მოუშვა, ზოგი მოუქირა, თავის თანაშემწეს რაღაც დაავალა, მობრუნდა, ბახალებივით ერთმანეთზე მიზუტებულ ბიჭებს ხელი დაუქნია და უთხრა:

— ნუუუ...ს! მოდი გავეცნოთ ერთმანეთს. ვასილ ივანიჩ ბულატოვი — გაუწოდა ბიჭებს სათითაოდ ხელი ოსტატმა და პირველად გიგას შეხედა: — თქვენ რა გქვიათ?

— გიგა, გრიგორი!

— თქვენა? — მიუბრუნდა ვეფხიას, მაგრამ სანამ პასუხს მიიღებდა, ასჯერ მოსული თანაშემწე გააცნო: — აი ეს არის გენია ბუიაკი, გაიცანით.

— გენია, ესენი ახალი შეგირდები არიან, ჩვენ მათ ოსტატობა უნდა ვასწავლოთ.

— ა, ქართველი ბიჭები? — გაიღიმა გენიამ და ყველას სათითაოდ ჩამოართვა თავისი ნიჩაბივით განიერი ხელი. — რატომაც არ ვასწავლით. ვასწავლით!

—შენ გვბარბოდნენ. აუხსენი ზოგი რამ, მერე სამუშაოზე დაიყენე. ახლა კი განვავრძოთ ჩვენი საუბარი. შენ გიგა გქვია, შენა? — ახედა ხალიბაურს ვასილ ივანიჩმა.

— ვეფხია.

— რაო, რაო? ყურზე ხელი წაიშველა ბულატოვმა.

— ვეფხია ხალიბაური.

— ეგ რაო, სახელია შენი თუ გვარი.

— ტიგრ — უთხრა ვეფხიამ.

ნაწყვეტი რომანიდან „რუსთაველი“

— რა ტიგრ?

— ვეფხია — ეტო ტიგრ.

— ოო, ვეფხი? — წარბშეკვრით შეხედა ოსტატმა ხალიბაურს, მერე მკლავში ხელი მოჭიდა და შეაჯანჯღარა — ვეფხვებთან ხუმრობა საშიშია. შენ რა გვარი ხარ? — მიუბრუნდა მესამეს.

— თედო, ფეოდორ გაგლოევ, ოსი.

— ოო, ოსებს ვიცნობ. მე მყავდა მეგობარი ოსი, ხახბულატოვი იყო გვარად. სულ მეუბნებოდა, ბულატოვ, შენც ოსი ხარო. ეს, ცხადია, არ იყო სწორი. ჩემი გვარი მეცხრამეტე საუკუნეში დარეშევიათ ჩემს წინაპრებს იმის გამო, რომ პაპის პაპას პირველად უსწავლია დამასკური ფოლადის ანუ ბულატის მოდეღება, თორემ ძველათ ანკეევები ვყოფილვართ. აქ ამას წინათ ერთი მკვლევარი იყო. იგი რუსი მეცნიერის, თუ გაგიგონიათ ანასოვი, ფოლადის მოდეღების საიდუმლოების ცნობილი ამომხსნელი, — იმის ბიოგრაფიის მასალებს აგროვებდა და ჩვენს ოჯახში, რაც კი რამ საბუთები ნახა, სულ გადაქექა. აი იმან მითხრა ეს ყოველივე.

ახლა, ტიგრ, თქვენც წამოდით, გავიცნოთ მარტენი.

ვასილ ივანიჩმა წაიყვანა ახალგაზრდები და დაწვრილებით აუხსნა, თუ რას წარმოადგენდა ეს მისი გავარვარებული ღუმელი, წამდაუწუმ რომ აღებდა ხახას და ცეცხლის გრძელი ენებით რომ ცდილობდა მისწვდომოდა ბიჭებს. ასწავლა, საიდან წარმოებდა ჩატვირთვა, საიდან აუდიდნენ სწავავს, როგორ ხდებოდა ფოლადის გამოშვება, შემდეგ ყველანი გენადი ბუიაკს ჩაბარა.

ბიჭები ცვლის გაშმავლობაში ტრიალებდნენ ღუმელთან და თვალყურს ადევნებდნენ მეფოლადეთა ბრიგადის მუშობას. ხანდახან კიდევაც ცდილობდნენ ოსტატებს წამველებოდნენ, ხან ნიჩბებს აუდიდნენ, ხან ანგბადის ბალონებს, ხან რკინის გრძელ მილებს.

ხანდახან ვასილ ივანიჩი ოფლით დაცვარულ შუბლს მოიწმენდდა და როდესაც ვეფხიას თავის ახლოს მოკრავდა თვალს, ყოველთვის ეკითხებოდა:

— ნუს, ტიგრ, ხომ არ შეშინდი?

ვეფხია მორცხვად იშმუშნებოდა.

— ნუ გეშინია, ვისწავლით მე და შენ ფოლადის გამოდნობას.

ცვლის დამთავრების შემდეგ ვასილ ივანიჩი შეგირდებთან ერთად გამოვიდა საამქროდან.

გარეთ საღამოს ბინდბუნდი ჩამოწოლილიყო და კარგა მაგრად ყინავდა. ქუჩაში სინათლე უკვე აენთოთ. ქარხნის ტერიტორიაზე მიმოფანტულ სვეტებზე დადგმულ ლამპიონებს შარავანდედი შეფრქვეოდა და ისინი გიგანტურ მზესუმზირებს წაგავდნენ.

— ესეც ასე, ბიჭებო, — თქვა ვასილ ივანიჩმა. მას პირიდან ორთქლის ქულები ამოეფრინდა, — ცოტა არ იყოს გრილა, მაგრამ არაფერია. თქვენ ალბათ გცივათ?

— მე არ მცივა, — უთხრა ვეფხიამ.

— წამოდით, გზა ერთი გვაქვს. ტრამვაის გაჩერებამდე ერთად მივიდეთ.

ყველანი ასფალტით დაგებულ გზაზე გავიდნენ და ქარხნის ალაყაფისაკენ გაემართნენ. შეგირდები ორივე მხრიდან შემოერტყნენ ვასილ ივანიჩს და სულ თვალებში შესცქეროდნენ, ბარა გეთხრასო.

— სულაც არ ყოფილა ძნელი ფოლადის გამოდნობა, ხვალ ამას მეც გავაკეთებ, — ღიმილით გამოთქვა შეგირდების აზრი ვასილ ივანიჩმა და ბიჭებს გადახედა, — ასეა, ხომ?

— ა... არა, არც მთლად აგრეა, — უპასუხა გიგამ, — ჩვენთვის ჯერ ბევრი რამ გაუგებარია.

— არა, რაც დღეს თვალით ნახეთ, — ღუმელის გაწყობა, ჯართის ჩატვირთვა, თუჯის ჩასხმა, დნობა და გამოშვება, ერთი შეხედვით არც ისე ძნელია. მაგრამ... მაგრამ, მაგალითად, სუპს მეც მოვხარშავ და ჩემი ცოლიც, ამ განსხვავებით, რომ ჩემი მოხარშული სუპი პირში არ ჩაიკარება, ხოლო ეკატერინა ივანოვნა რომ სუპს დაამზადებს, ნამდვილი ხელოვნებაა. ასეა ფოლადის საქმეც. თქვენ იცით, რამდენი მარკის ფოლადია ამ ქვეყანაზე? საჯავშნო ფოლადი სხვაა, საზარბაზნე კიდევ სხვაა და მანქანის ნაწილებისა სულ სხვაა. აი, ბულატს რომ უწოდებენ, ის კიდევ სრულიად განსაკუთრებულია. ასეთი ფოლადისაგან ძველათ ხმლებს ამზადებდნენ...

ბიჭები ახორხოცდნენ და ვეფხიას წაუჯიკეკეს.

— ასეთი ფოლადის მიმზადება ამას ასწავლეთ, ძია ვასილ! — უთხრა გიგამ და ვეფხიაზე მიეთითა, — მაგას ხმალი გასტეხია და არ იცის სახმლე ფოლადი სად იშოვნოს.

ვეფხიას შერცხვა და სახეზე სიწითლემ გადაუარა. ვასილ ივანიჩმა ეს შეამჩნია და ახალგაზრდა რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა, გაამხნევა:

— ვერ უშოვნია, და ჩვენ ვუშოვნით. ჩვენ ამას წინათ მოგვიყიდა შეკეთა, ცივი იარაღისთვის საჭირო ფოლადი უნდა დავამზადოთ. შენ რა, ხმლები გიყვარს? ჩვენშიც არიან ხოლმე ასეთები, ძველებური იარაღის მოყვარულნი. თქვენში კი, კაკასიაში, გამიგონია, თურმე ყველას უბეში ხანჯალი აქვს დამალული.

ბიჭებმა გადაიხარხარეს.

— ეგ ალ ამათ, ხევსურებს, აქვთ ხოლმე. მხოლოდ უბეში კი არა აქვთ, ქამარზე ჰკიდათ, — უთხრა გიგამ ვასილ ივანიჩს.

— ხევსურები ვინ არიან?

— მთიელები. ეგენი ისეთ მაუველ მთებში ცხოვრობენ, რომ ძალაუნებურად უნდა სცემდნენ პატივს იარაღს.

— ეგ გასაგებია, — უპასუხა ვასილ ივანიჩმა, და ბიჭებს გამოეთხოვა, — აბა, ნახვამდის, ყმაწვილებო!

აკაკი ბელიაშვილი.

ბრძოლებში ნაწრთობი ძმობა



რუსეთთან საქართველოს შეერთების თერთმეტი წლის შემდეგ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები რუს ძმებთან ერთად იბრძოდნენ 1812 წლის სამამულო ომის ფრონტებზე.

... გენერალი პეტრე ბაგრატიონი! მისი სახელი, საქმიანობა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოა. ამ ნიჭიერი მხედართმთავრის სახელთან მრავალი ბრძოლაა დაკავშირებული. იგი ხმლით ხელში შეუპოვრად იბრძოდა რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ, ეს იყო ოჩაკოვთან თუ იტალიის ალპებში, აუსტერლიცთან თუ ალმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე, მდინარე ალასთან თუ დუნაიზე, მაჩინის, გორსოვის, იზმაილის თუ ბრაილოვის ციხე-სიმაგრეებთან. პირველი სამამულო ომის ბედი ფაქტიურად ხომ ბოროდინოს ველზე გადაწყდა. ამ ველზე კუტუზოვისა და ბაგრატიონის თანამემამულენი რისხვას ატეხენ მომხდურ გადამთიელებს.

ქართველი მეომრები ბოროდინოს ველზე იცავდნენ რუსული იარაღის დიდებას. ამავე ველზე მტრის მიერ სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი სახელოვანი პეტრე ბაგრატიონი. აქვე იბრძოდა პოეტი-გენერალი, პირველი სამამულო ომის დროს პარტიზანული მოძრაობის ინიციატორი და ხელმძღვანელი დენის დავიდოვი, რომელიც ბაგრატიონის მეგობარი იყო. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში არაერთხელ იგონებდა საყვარელ მეგობარს. მის მეხსიერებაში მუდამ ცოცხლდებოდა სურათები წარსული ომის ფურცლებიდან. ბაგრატიონთან ერთად იგი იგონებდა რაევსკისა და ერმოლოვს. დ. დავიდოვმა ბოროდინოს ველს უძღვნა ლექსი, სადაც გადმოცემულია ბრძოლაგადახდილი ბოროდინოს სურათი:

მდუმარეობაა, არ ისმის ველზე
ბრძოლის ყიჟინა. არ იძერის ჩრდილიც...
თქვენს ბედნიერ ძვლებს ვიგონებ შურით
მე, გამოწვრთნილი თქვენის მახვილით —
გადაქცეული აწ გუთნისდედად,
დადუმებული და თავდახრილი.

მხატვრულ ლიტერატურაში, მუსიკასა და მხატვრობაში მრავალი ნაწარმოები შეიქმნა რუსი და ქართველი ხალხის თანამეგობრობაზე. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დიდი წარმატებით იდგმებოდა წლების მანძილზე ალ. სამსონიას პიესა „ბაგრატიონი“.

სიცოცხლით, სიმართლით და დამაჯერებლად წარმოადგინა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შალვა ღამბაშიძემ დიდი რუსი მხედართმთავარი მიხეილ კუტუზოვი.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ ნათელი მხატვრული ფერებით სცენაზე გააცოცხლა სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლის, მგზნებარე პატრიოტის პეტრე ბაგრატიონის სახე.

ბ. ბახტურიძე.

* * *

სურათზე: სცენა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „ბაგრატიონი“.

მუზეუმი მოგვითხრობს

წინანდალი დიდი რუსი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობის ამსახველი ერთ-ერთი შესანიშნავი კერაა.

დეკორაციული პარკის დასავლეთ მხარეს პატარა ეკლესიის ნაწილია გადარჩენილი. ამ ეკლესიაში იკორწინეს დიდმა რუსმა დრამატურგმა ა. გრიბოედოვმა და ნინო ჭავჭავაძემ.

ჭავჭავაძისეულ სახლში მოთავსებულ მუზეუმის სტენდებზე ასახულია ა. ს. პუშკინის ყოფნა წინანდალში. ამ ფაქტისადმი მიძღვნილი უზარმაზარი სურათი: „ა. ს. პუშკინი უკითხავს თავის ლექსს ქართველ მეგობრებს“. მუზეუმის მასალებიდან ვიცნობით, რომ 1835 წლის მაისში წინანდალს ესტუმრა პუშკინის უმცროსი ძმა ლევ სერგეის-ძე პუშკინი, რომელიც მაშინ კავკასიის სამხედრო ნაწილში მსახურობდა. ლევ პუშკინმა ჭავჭავაძიანთ მამულში უდიდესი სიამოვნება და სულიერი სიმშვიდე ჰპოვა, რის შესახებაც იგი წერილით აცნობინებს თავის ძმას. წინანდალში მან გაიცნო ნინო ალექსანდრეს ასული გრიბოედოვისა და მანანა ორბელიანი.

მუზეუმის ბევრი ნივთი, სურათი და დოკუმენტი მეტყველებენ ა. ს. გრიბოედოვის ყოფნის შესახებ წინანდალში, მის ურთიერთობაზე ალ. ჭავჭავაძესთან. აქვეა მწერლის სხვადასხვა დროს გამოცემული უკვდავი ქმნილების „ვაი ჭკუისგანის“ ეგზემპლარები. მუზეუმში არსებული მასალები მოგვითხრობენ ავრეთვე მ. ი. ლერმონტოვის წინანდალში ყოფნის შესახებ.

წინანდალი, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მარტო წარსული დროის მემატიანე როდია. შთაბეჭდილებათა წიგნში შევხვდებით ჩინელებისა და ჩეხების, პოლონელებისა და რუმინელების, ინგლისელებისა და ამერიკელების, ფრანგებისა და იტალიელების, მრავალი სხვა ერის სახელმწიფო მოღვაწეთა და კულტურის მუშაკთა ჩანაწერებს.

ხალხთა მეგობრობის მხურვალე გრძნობებს გამოხატავენ ნ. ტიხონოვის, მ. ბაჟანის, გაფურ გულიამის, ლ. ლეონოვის, ვ. გოლცევის და სხვათა ჩანაწერები.

გამოჩენილი რუსი მწერალი ქალი ანა ანტონოვსკაია და მწერალი ბორის ჩორნი წერენ: „გულს გვიხარებს წინანდალი! განა შეიძლება დავივიწყოთ ამ ქვეყნის კუთხე, სადაც ცხოვრობდნენ დაუვიწყარი ა. ს. გრიბოედოვი და მომხიბვლელი ნინო ჭავჭავაძე? წინანდალი არის მდიდარ და ლამაზ ქართულ მიწაზე. ჩვენთვის ძვირფასია ეს მხარე, მხარე გიორგი საკაძისა და პოეტი მეფის თეიმურაზ პირველისა!“.

მ. ზურაბოვი,
თელავის მასწავლებლის სახლის გამგეობის თავმჯდომარე.

სურათზე: წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმში ექსკურსანტები ათვალიერებენ ექსპონატებს.
ფოტო შ. გოქაძისა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების ასახვა ქართულ ლიტერატურაში

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან რუსული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი და მხატვრული ლიტერატურა იქცევა ამ უმთავრეს წყაროდ, რომელიც იდეურ საზრდოს აძლევს ქართველ პროგრესულ ინტელიგენციას. რუსული მწერლობის მხარდამხარ ქართული ლიტერატურა ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატველად გვევლინება, აქტიურად ეხმაურება ქართველი ხალხის ბრძოლას ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ყველა დიდი ქართველი მწერალი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდა. საპირო აღინიშნოს, რომ ეს ბრძოლა მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრივი რეჟიმის წინააღმდეგ. ცარიზმის სასტიკი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართველი მწერლები, ებრძოდნენ რა მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივ რეჟიმს, იმავე დროს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ რუს ხალხს, მის ეროვნულ ღირსებას, სწავლობდნენ და საქართველოში გადმოჰქონდათ მისი სულიერი კულტურის სიმდიდრე.

ქართველი მწერლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ხალხში დაუღალავად ავრცელებდნენ გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვა სახელოვანი რუსი მწერლების თხზულებებს, მათს ნაწარმოებებში გატარებულ მაღალ იდეებს.

დღესაც შთამაგონებლად ისმის აკაკი წერეთლის სიტყვები, დიდმა მგოსანმა ერთ-ერთ საზოგადო შეკრებაზე რომ წარმოთქვა: „ჩვენ მართლა რომ დიდად ვიფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსს ერებთან. მართალია, რუსს ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენი გვსურს ხელიხელჩაკიდებით საარული არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებს, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლები არაერთგზის შეხებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, კერძოდ, რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხს და ამ ისტორიული მოვლენის თაობაზე თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა უთქვამთ.

დიდმა მგოსანმა ნ. ბარათაშვილმა რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხს უძღვნა თავისი საყოველთაოდ ცნობილი პოემა „ბედი ქართლისა“ და რამდენიმე ლექსი.

პოემაში დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი ორი ძირითადი ბანაკი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში რუსეთთან შეერთების საკითხში საქართველოს მმართველთა წრეებში არსებობდა. ერთი ასეთი ბანაკის მისწრაფებათა გამომხატველია მეფე ერეკლე II, ხოლო მეორე ბანაკისა — სოლომონ მსაჯული.

ერეკლესა და სოლომონის ხანგრძლივი, ღრმასაბუთიანი კამათის შემდეგ ჩვენც ბუნებრივად ვუეჭიდებით სახელოვანი პატარა კახის მიმართვას მოჭირნახულე მსაჯულისადმი:

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარ ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის.

„ბედი ქართლისას“ დაწერიდან სამოდე წლის შემდეგ ნ. ბარათაშვილმა ახალი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზე კვლავ შექმნა ძლიერი პოეტური ნაწარმოები „საფლავი მეფის ირაკლისა“. ამ ლექსში მგოსანმა ერთხელ კიდევ და საბოლოოდ მიიწონა მეფე ერეკლეს მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი. მან რუსეთთან დაახლოებაში საქართველოსათვის დიდი კულტურული მნიშვნელობაც დაინახა. მგოსანი ახლა უკვე ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ნოყიერ ნიადაგზე ჩრდილოეთიდან გადმოტანილი კულტურისა და განათლების მნიშვნელობას. მაღლიერი პოეტი ერეკლეს მისამართით ამბობს:

აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ
შენნი ძენი.
ეამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ
მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა,
განცეცხლებული.

ასე მსჯელობდა ნ. ბარათაშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში. დიდი პოეტის ეს მსჯელობა საერთოა მისღრონინდელი მთელი მოწინავე ქართველობისათვის.

განუზომელია რუსული მოწინავე მწერლობის როლი ქართული ლიტერატურის, მთელი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. რუსული ლიტერატურის მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის კიდევ უფრო საგრძნობი ხდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. რუსეთის დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ ქართველ მწერალთა ის თაობა, რომელიც ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის სამოციან წლებში და რომელიც მომართულებას აძლევს მომდევნო ეპოქის მთელ ქართულ ლიტერატურას. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული შეხედულებანი უშუალო კავშირშია რუსეთის მოწინავე აზროვნებასთან.

რუსული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების დიდი მნიშვნელობის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დაეჩინა მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა საარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან“.

ასე ფასობდა ი. ჭავჭავაძე მოწინავე რუსული ლიტერატურის მნიშვნელობას მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისათვის. ქართველი ხალხის ბრძენი მედროშე იქვე აღნიშნავდა, რომ ჩვენს მოღვაწეებს რუსულ აზროვნებაში მიღწეული საახლესი უკრიტიკოდ კი არ ვადმოჰქონდათ, არამედ ყოველი ასეთი მონაპოვარი მხოლოდ ყოველმხრივი შემოწმების, ერის თავისებურებებთან შეფარდებისა და ადგილობრივი პირობების შესაბამისად გადამუშავების შემდგომ ინერგებოდა ქართულ სინამდვილეში.

ასევე საქმიან და კეთილშობილურ დამოკიდებულებას იჩენდნენ რუსი ხალხისა და რუსული კულტურისადმი ქართული მხატვრული სიტყვის სახელოვანი ოსტატები ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და ეგნატე ნინოშვილი.

ალ. ყაზბეგი XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. ბუნებრივია, რომ მწერალმა ამ დროს რუსული ლიტერატურის კეთილნაყოფიერი გავლენა განიცადა. სწორედ ამ პერიოდში ალ. ყაზბეგს ქართულ ენაზე გადმოუღია გრიბოედოვის „ვაი ჭკუისგან“.

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებში მოცემულია სასტიკი და ულმობელი კრიტიკა მეფის თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი რეჟიმისა, მაგრამ იქვე გარკვევით ფიქრობდა მწერლის დიდი პატივისცემა რუსი ხალხისადმი, მისი ადამიანური ღირსებებისადმი. ყაზბეგი არა მარტო ქართველი ხალხის ძმიმე ყოფის სურათებს იძლევა, არამედ იგი ასევე გულისტკივილით გვაგრძნობინებს რუსი ხალხის აუტანელ მდგომარეობას მეფეთა თვითმპყრობელობის გულქვა ჩინოვნიკების ხელში.

ალ. ყაზბეგის მხატვრულ თხზულებებში ყოველთვის ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მეფის მოხელეებს თვითნებობა ერთნაირად ჩაგრავს როგორც რუს, ისე ქართველ ხალხს, დამახასიათებელია რუსი ჯარისკაცების მძიმე განცდები, რომლებიც მწერალმა რომან „ელგუჯაში“ დაგვიხატა.

ვაჟა-ფშაველა ჭაბუკობიდანვე გულმოდგინედ სწავლობდა რუსულ ლიტერატურას. გორის სასოსტატო სემინარიაში სწავლის დროს მან ქართულ ენაზე თარგმნა რუსული მწერლობის რამდენიმე ნიმუში. შემდეგ რუსულ სანამდვილის უშუალოდ გაცნობის მიზნით ვაჟამ 1883 წელს რამდენიმე თვე პეტერბურგში გაატარა.

ვაჟა-ფშაველა თავის მთელ რიგ პუბლიცისტურ და საპოლემიკო წერილებში რუსთაველისა და შექსპირის გვერდით იხსენიებს პუშკინსა და ლევ ტოლსტოის.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ლევ ტოლსტოის მხატვრული შემოქმედება საქართველოში ითმაგითვე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. ტოლსტოის ნაკმა ქართველ ინტელიგენციაში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. განსაკუთრი რუსი მწერლის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა მთელი ქართული პრესა. ამ შემთხვევას საგანგებო ლექსი უძღვნა ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც ლევ ტოლსტოის მთელი კულტურული კაცობრიობის ძამა და მოძღვარი უწოდა. ვაჟა წერდა:

მარტო რუსეთმა? მთელმა ქვეყანამ
დაჭკარგა ბამა, თვისი აღმზრდელი,
ვინაც მოჰფინა ჩვენს გულ-ღონენებას
და ჩვენს ენებათა უხვად ნათელი.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებია ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაში. ნინოშვილის კალამს ეკუთვნის რომანი „ჯარანა გურიაში“, რომელშიც ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის გადმოცემული. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირია თავადის უკანონო შვილი გიორგი, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.

გიორგი რომანში გამოჩნდება იმ დროს, როდესაც აჯანყება უკვე დაწყებულია; გლეხები იარაღით ხელში უკვე გამოსული არ

მსოფლიო საზოგადოებრიობა მიესალმება სსრ კავშირის ლონისძიებებს სუეცის არხის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაჭრისათვის

გამოსვლა ბ. ა. ბულგანინის პასუხზე კინგსბერი სმიტისადმი

პეკინი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის ყველა გაზეთმა დაბეჭდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხი კინგსბერი სმიტის კითხვებზე.

ამ ცნობის სათაურებში გაზეთები გამოთქვამენ აზრს, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მშვიდობიანად გადაიჭრას სუეცის საკითხი.

ნ. ა. ბულგანინის პასუხი კინგსბერი სმიტის კითხვებზე გადასცეს აგრეთვე რადიოთიც.

ბერლინი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხს კინგსბერი სმიტის კითხვებზე. ბეჭდავენ რა ნ. ა. ბულგანინის პასუხის შინაარსს, გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ექვსი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების კონფერენციაში, აგრეთვე გამოჰყოფენ ნ. ა. ბულგანინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას ფართო საერთაშორისო კონფერენცია ყველა დაინტერესებული ქვეყნის მონაწილეობით.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინის პასუხმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიო საზოგადოებრიობაზე. „დერ მორგენი“, ეხება რა ნ. ა. ბულგანინის პასუხს, აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ მზად არის მშვიდობიანად გადაჭრას ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი.

ბუქარესტი, 21 სექტემბერი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხს კინგსბერი სმიტის კითხვებზე. ყველა ცენტრალურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ნ. ა. ბულგანინის პასუხის სრული ტექსტი.

გაზეთი „სკინტეია“ სათაურში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს თათბირში მაღალ დონეზე სუეცის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

კომენტარს უკეთებს რა ნ. ა. ბულგანინის პასუხს, გაზეთი „რომანია ლიბერა“ წერს: ის, რომ საბჭოთა კავშირი იწონებს ექვსი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის იდეას, მსოფლიო საზოგადოებრიობას მიაჩნია როგორც დადასტურება ახალი ღონისძიებებისა, რომლებსაც სსრ კავშირი იღებს სუეცის არხის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისთვის.

მონტევიდეო, 21 სექტემბერი. (საკდესი). ურუგვაის პრესამ გამოაქვეყნა ცნობები ნ. ა. ბულგანინის პასუხის შესახებ კინგსბერი სმიტის კითხვებზე.

გაზეთები „ელ პაისი“, „ლა მანიანა“ და სხვები ბეჭდავენ შეკითხვებისა და პასუხის ტექსტს. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ეგვიპტის, ინდოეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების კონფერენციაში, რათა გამონახოს სუეცის საკითხის მშვიდობიანი და სამართლიანი მოწესრიგების გზა.

გაზეთმა „ლა მანიანამ“ დაბეჭდა ცნობა ნ. ა. ბულგანინის პასუხის შესახებ სათაურით: „რუსეთი მზად არის მოლაპარაკება აწარმოოს სუეცის საკითხის სამართლიანი და მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ“. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა, წერს „ელ პაისი“, რომ ასეთი კონფერენცია გზას გაუხსნიდა სუეცის არხის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას.

ა. იდენისა და ს. ლოიდის მომავალი გამგზავრება პარიზს

ლონდონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრემიერ-მინისტრი ა. იდენი და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ლოიდი 26 სექტემბერს გაემგზავრებიან პარიზს და იქ 2 დღეს დაჰყოფენ. როგორც ლონდონის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, იდენისა და ლოიდის მოლაპარაკების მთავარი თემა პარიზში იქნება ვითარება, რომელიც შეიქმნა სუეცის საკითხზე ქვეყნების ჯგუფის ლონდონის თათბირის შემდეგ.

სიგემიცუს განცხადება იაპონიის პოზიციის შესახებ სუეცის საკითხში

ტოკიო, 21 სექტემბერი (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, დღეს იაპონის საგარეო საქმეთა მინისტრმა მამორუ სიგემიცუმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იაპონიამ მონაწილეობა მიიღო ლონდონის მეორე თათბირში სუეცის არხის საკითხზე, უმთავრესად იმისათვის, რომ გაეგო ეგვიპტის მთავრობისა და „ხუთთა კომიტეტის“ ამასწინანდელი თათბირების შედეგები.

სიგემიცუმ შემდეგ თქვა, რომ იაპონიის დელეგაცია ამ თათბირზე თავს არ შეიბოჭავს არავითარი გადაწყვეტილებით, რომლებიც, შესაძლებელია, მიღებული იქნება „სუეცის არხის მოსარგებლეთა ასოციაციის“ საკითხზე.

სტივენსონის წინასაარჩევნო გამოსვლა

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისგან სტივენსონმა ქ. სილვერსპრინგში (მერილენდის შტატი) წარმოთქვა სიტყვა ეიზენჰაუერის წინასაარჩევნო გამოსვლის საპასუხოდ.

სტივენსონმა გააკრიტიკა ეიზენჰაუერი იმისათვის, რომ მან უარყო სტივენსონის წინადადება, რომ „შეერთებულმა შტატებმა გამოიჩინონ ინიციატივა ყველა ქვეყნის მიერ წყალბადის ბომბის გამოცდის შეზღუდვის მიზნით“ და გადაესინჯა სამხედრო ბაგრის არსებული კანონი.

სტივენსონმა გააკრიტიკა აგრეთვე ეიზენჰაუერის განცხადებანი სხვა საერთაშორისო პრობლემებზე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება

სოფია, 19 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობას, რომ ამ დღეებში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტოდორ ჟივკოვის მოხსენება პიროვნების კულტის და მისი მავნე შედეგების ლიკვიდაციისათვის გაწეული მუშაობის შედეგებისა და მომავალი ამოცანების შესახებ. პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის მდივნის დიმიტრ განევის მოხსენება ტრაიჩო კოსტოვის საქმისა და მასთან დაკავშირებული პროცესების გამომკვლევი კომისიის დასკვნების შესახებ.

პირველი საკითხის გამო გადაწყვეტილებაში, რომელიც პლენუმმა მიიღო, აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესწავლა და განხილვა, ამ გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება ნამდვილი სკოლა გახდა კომუნისტებისათვის, ამაღლდა პარტიის, როგორც სოციალისტურ მშენებლობაში ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლი. პარტიულ ორგანიზაციებში გაჩაღდა ფართო და ღრმა კრიტიკა ნაკლოვანებებისა პარტიის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში და უწინარეს ყოვლისა პიროვნების კულტთან დაკავშირებული მუშაობისა და ხელმძღვანელობის მცდარი მეთოდების ფართო და ღრმა კრიტიკა; ამან ცხადყო პარტიის ერთიანობა და ძალა, სახალხო-დემოკრატიული წყობილების სიმტკიცე. მზადყოფნა, რომ ბოლომდე წარმოებდეს ბრძოლა მუშაობისა და ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების სრული აღდგენისა და ზუსტად დაცვისათვის.

მიესალმა რა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ განვითარებას, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგმო ზოგიერთი მერყევი ელემენტის ის ცდა, რომ პიროვნების კულტის დაგმობის საბაბით უარყონ ან შემცირონ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებანი, შეარყიონ მშრომელთა რწმენა პარტიის პოლიტიკის სისწორისა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის ერთიანობისათვის, და სავსებით მოიწონა დადგენილება.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიას, როგორც ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას ცხოვრების ყველა დარგში, უზრუნველყოფს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას, სახალხო დემოკრატიის განმტკიცებასა და გაფართოებას.

პლენუმის დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ პარტიულ ორგანოებში, თავიდან ბოლომდე, გაძლიერდეს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, შემდგომ განვითარდეს შინაპარტიული დემოკრატია, განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერება, გაუმჯობესდეს სახელმწიფო აპარატის მუშაობის მეთოდები, ამაღლდეს სახალხო კრების, როგორც სახალხო ხელისუფლების ყველაზე უმაღლესი ორგანოს და სახელმწიფოს ერთადერთი საკანონმდებლო ორგანოს, როლი და სხვა ღონისძიებანი.

მეორე საკითხზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიწონა კონსტატაციები და დასკვნები კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ტრაიჩო კოსტოვის საქმისა და მასთან დაკავშირებული პროცესების განხილვა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიის წევრთა უფლებები აღუდგინა, გარდა ორი კაცისა, ყველას, ვინც მსჯავრდადებული იყო ეგრეთწოდებული ტრაიჩო კოსტოვის პროცესში, მხედველობაში მიიღო, რომ ისინი მსჯავრდადებული იყვნენ დაუსაბუთებლად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების შესახებ

პეკინი, 21 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგაზეთო იუწყება, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ქენევაში მომდინარეობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩებს შორის.

1956 წლის 21 აგვისტოს, აღნიშნულია განცხადებაში, ჩინეთის მხარემ მოლაპარაკების მსვლელობაში წარადგინა ემბარგოს საკითხზე შეთანხმებული განცხადების შემდეგი პროექტი: ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის თანდათანობით გაუმჯობესებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით ელჩი ვან ბინ-ნანი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით გამოდის, და ელჩი ალექსის ჯონსონი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით გამოდის, შეთანხმდნენ განაცხადონ შემდეგი:

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაჩნიათ, რომ მათ შესაბამისად უნდა მიიღონ საკუთარი ინიციატივით ღონისძიებანი არსებული ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას“.

ემბარგოს გაუქმების საკითხი ჩინეთის მხარემ დააყენა მოლაპარაკებაზე ჯერ კიდევ 1955 წლის სექტემბერში, მაგრამ, რამდენადაც ამერიკის მხარემ ითხოვა ჯერ განეხილათ „ძალის გამოყენებაზე უარის“ საკითხი, ჩინეთის მხარე დაეთანხმა ამას და ამერიკის მხარესთან ერთად თითქმის ერთ წელიწადს განიხილავდა მის მიერ აღძრულ ამ საკითხს. განხილვის მსვლელობაში ჩინეთის მხარემ არაერთგზის შეიტანა წინადადება, რომ ორ ქვეყანას შორის სადავო საკითხები მოწესრიგებულიყო მშვიდობიანი საშუალებებით, ძალის გამოუყენებლად, და შეიტანა წინადადება მოწვეულიყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ტაივანის რაიონში დაძაბულობის შენელებისა და აღმოფხვრის მიზნით. მაგრამ ამერიკის მხარე დაეჭვებით იცავდა თავის მოთხოვნას, რომელიც ნიშნავდა ჩინეთის სუვერენიტეტის შელახვას და მის საშინაო საქმეებში ჩარევას. ამრიგად, მხარეებმა დღემდე ვერ მიაღწიეს ვერავითარ შეთანხმებას. იმისათვის, რომ ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება უაზროდ არ გაჭიანურებულიყო, ჩინეთის მხარემ შეიტანა წინადადება დაეწყოთ ემბარგოს საკითხის განხილვა და წამოაყენა ზემოხსენებული წინადადება.

თუმცა ამერიკის მხარემ აღნიშნა, რომ იგი არ არის წინააღმდეგი ემბარგოს საკითხის განხილვისა, მიუხედავად ამისა, განაცხადა, რომ ემბარგოს საკითხი შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება „ძალის გამოყენებაზე უარის“ საკითხში და რომ ემბარგოს საკითხის განხილვა მანამდე არავითარ შედეგს არ გამოიღებს. ამავე დროს „ძალის გამოყენებაზე უარის“ საკითხში ამერიკის მხარე, არ ცვლიდა რა თავის პოზიციას, კვლავ დაჟინებით იცავდა მოთხოვნას, რომელიც ნიშნავდა ჩინეთის სუვერენიტეტის შელახვას და მის საშინაო საქმეებში ჩარევას.

მაშასადამე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეუძლებელი გახადეს შეთანხმების მიღწევა „ძალის გამოყენებაზე უარის“ საკითხში და ამავე დროს ამ შეთანხმების მიღწევა გახადეს ემბარგოს საკითხის განხილვაზე გადასვლის პირობად. ამრიგად, ამერიკის მხარემ ფაქტიურად უარი თქვა ემბარგოს საკითხის განხილვაზე. ამან არ შეიძლება ხელი არ შეუშალოს პროგრესს ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებაში.

ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება არ უნდა გაჭიანურდეს უაზროდ, როგორც ეს დღემდე იყო. ახლა მთელ მსოფლიოს იმედი აქვს, რომ დაინტერესებული მხარეები მიიღებენ პოზიტიურ ღონისძიებებს ემბარგოს გასაუქმებლად. წინადადება, რომელიც ჩინეთის მხარემ შეიტანა, შეესაბამება ამ საერთო სურვილს. ჩინეთის მხარეს მიაჩნია, რომ მოლაპარაკების მონაწილენი, ჩინეთის მხარის წინადადების საფუძველზე, უნდა შეუდგნენ ემბარგოს საკითხის განხილვას და მიაღწიონ შეთანხმებას ამ საკითხში.

დამთავრდა ქვეყნების ჯგუფის ლონდონის სეპარატული თათბირი სუეცის საკითხზე

ლონდონი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს ლონდონში დამთავრდა ქვეყნების ჯგუფის სეპარატული თათბირი სუეცის საკითხზე. თათბირმა მიიღო დეკლარაცია იმის შესახებ, რომ შეიქმნას ეგრეთწოდებული „სუეცის არხით მოსარგებლეთა კოოპერაციული ასოციაცია“. მაგრამ თათბირის მონაწილე მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებს არ გაუციათ საბოლოო პასუხი კითხვაზე, შეუერთდებიან თუ არა მათი სახელმწიფოები „ასოციაციას“, და მოითხოვეს ვადა იმისათვის, რომ დეკლარაცია განსახილველად წარუდგინონ თავიანთ მთავრობებს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაცია სსრ კავშირში

ლენინგრადში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში. 21 სექტემბერს დელეგაციის წევრებმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარის ლი ენის მეთაურობით დაათვალიერეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენები.

სტუმრებს დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა. პარლამენტის დელეგაცია იყო მთავარ პავილიონში, მანქანათმშენებლობის პავილიონში, მეცხოველეობის ფერმებში, დარბაზებში, საიდაც ნაჩვენებია მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება.

დელეგაციის მეთაურმა ლი ენმა, გამოთქვა რა თავისი შთაბეჭდილებანი, განაცხადა: ჩვენ აღტაცებული ვართ გამოფენებით. ყველაფერი, რაც ვნახეთ, შესანიშნავი. აქ ბევრი რამ არის საგულისხმო.

სტუმრებს ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ს. ალექსეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომლები, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმენებული პაკ დოკ ხვანი.

საღამოს კორეის საპარლამენტო დელეგაცია სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ფილიალში დაესწრო ბალეტ „კოპელიას“.

22 სექტემბერს დელეგაცია იწყებს მოგზაურობას საბჭოთა ქვეყანაში. იგი ეწვევა რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, საქართველოს მთელ რიგ ქალაქებს. (საკდესი).

«ტუ-104» თბილისში



ჩვენ დილით ადრე მივაშურეთ თბილისის აეროდრომს, რომლის მინდორს შემოდგომის მზის სხივები აკაშკაშებდნენ. დაქროდნენ ავტოცისტერნები, საზიდრებით გამოიტანეს ორი ახალი მაღალი მისადგმელი კიბე. აეროპორტის ყველა მუშაკს დაძაბულობა ეტყობა. აქ თავი მოუყრია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ათასობით ადამიანს.

ყველაფერი მზად არის ახალი „ტუ-104“ მარკის რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავის მისაღებად.

შეედავართ აეროპორტის სადისპეტჩეროში. აქ დისპეტჩერები შ. დედანაშვილი და ბ. პავლიაშვილი ელოდებიან ცნობას, თუ როდის გამოვა თვითმფრინავი მოსკოვიდან.

..და აი, მოსკოვიდან რადიო გადმოსცემს, რომ თვითმფრინავმა „ტუ-104“ მარშრუტით მოსკოვი-თბილისი 9 საათსა და 4 წუთზე აიღო სტარტი და მოფრინავს სამხრეთისაკენ. გადის 1 საათი და 11 წუთი და უკვე როსტოვიდან იტყობინებიან, რომ თვითმფრინავმა ქალაქს გადაუარა 10.500 მეტრ სიმაღლეზე. რადიოგრამა იტყობინება, რომ თვითმფრინავმა გაიარა მინერალნიე ვოდი.

კიდევ რამდენიმე წუთი. საათის ისარი აჩვენებს 11 საათსა და 15 წუთს, უეცრად იგრიალა ტაშმა, ხალხი შეჰყურებს მტრედისფერ ცას, სადაც გამოჩნდა ვერცხლისფერი ისარი. შემხვედრნი მაღლა სწევენ ხელებს და თაიგულების ქნევით ესალმებიან თვითმფრინავს.

თვითმფრინავი მისასალმებელ წრეს აკეთებს თბილისის თავზე, შემობრუნდება და გადაუფრენს რუსთავს. კიდევ ერთი თვალისდახამხამება, და ეს შესანიშნავი მანქანა უკვე ეშვება აეროპორტის გზაზე და ჩერდება.

...თვითმფრინავიდან გადმოდიან რეისის პირველი მგზავრები და შემდეგ თვითმფრინავის ეკიპაჟი. ეკიპაჟს მიართმევენ თბილისის მშრომელთა საჩუქარს — ყვავილებით სავსე კალათს ქართული სასმელებითა და ხილით.

ჩვენ ვესაუბრებით ხომალდის ერთ-ერთ პილოტს.

— მთელ ტრასაზე, — ამბობს იგი, — ჩვენ მოვფრინავდით 10.500 მეტრ სიმაღლეზე. საშუალო სიჩქარე იყო 867 კილომეტრი საათში. გარეთ თერმომეტრი აჩვენებდა მინუს 52 გრადუსს, ხოლო თვითმფრინავის კაბინაში უცვლელად 20 გრადუსი სითბო იყო. ყველა მგზავრი საუკეთესოდ გრძნობდა თავს. ეანგბადი არავის დასჭირვებია. შესანიშნავი პანორამა გადაგეშალა თვალწინ, როდესაც კავკასიის მთავარ მთაგრეხილს გადავფრინეთ. დიდი სიმაღლიდან მოჩანდა უაზბეგი და იალბუზი, რომლებიც თითქოს ჩვენ მოგვესალმებოდნენ. გადმოვლახეთ რა ეს ორი მწვერვალი, ჩვენ დავიწყეთ დაბლა დაშვება, დავფურებდით მშვენიერ საქართველოს, და აი თბილისიც...

არასოდეს არ დაგვავიწყდება თქვენი ქალაქის მშრომელთა ეს გულთბილი შეხვედრა, რაც ღრმად ჩაგვწვდა გულში.

თვითმფრინავს გარს შემოეხვია აუარებელი ხალხი. ყველას სურს დაათვალიეროს თვითმფრინავის შიგამოწყობილობა. ახლინ კიბით ადიან თვითმფრინავზე, ათვალიერებენ სამართავ მექანიზმებს, მოპირკეთებას და კომფორტაბელობას.

დათვალიერება გრძელდება, და ამასთან პარალელურად თვითმფრინავს ამზადებენ გასაფრენად. 16-ტონიან ბენზინსაზიდრებს მოაქვთ საწვავი. ინჟინრები და ტექნიკოსები ახდენენ ტექნიკურ შემოწმებას.

...ექვს სამი საათია, რაც თვითმფრინავი აეროდრომზეა.

რადიო აცხადებს: — მგზავრებს, რომლებიც მოსკოვში მიემგზავრებიან თვითმფრინავ „ტუ-104“-ით, ვთხოვთ დაიკავონ ადგილები! მგზავრები ზედიზედ ადიან თვითმფრინავზე. მგზავრთა შორის არიან ქიმიური მეცნიერებათა კანდიდატი ხ. ყურაშვილი, გაზსადენის ინჟინერი ა. ფუქსი მოსკოვიდან, პოდპოლკოვნიკი ლ. ვოიცეხოვსკი ლენინგრადიდან, ცოლ-ქმარი მარიამ და მარლენ ალექსანიანები სოჭიდან, დიასახლისი პ. გოფმანი მოსკოვიდან და ექვსი ბულგარელი, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან ჩვენს ქვეყანაში და სხვ.

დადგა უკანასკნელი წუთები. თვითმფრინავის კიბეზე ადის მანქანის ეკიპაჟი: მფრინავები ვ. ფილონოვი, კ. საპელკინი და ვ. ციგანკოვი, შტურმანი ხ. ლუკაშინი, ბორტმექანიკოსი პ. მოსკალიოვი, ბორტრადისტი ა. ფედოროვი. თვითმფრინავის კარი იხურება.

ამუშავდა ორივე რეაქტიული ძრავა. გაისმა მოტორების გუგუნი. კიდევ ერთი წუთი, და მძლავრი ხომალდი დაიძრა და გასრიალდა ასაფრენ გზაზე. იგი ცოტა ხნით ჩერდება. მოტორების ხმაური ძლიერდება. მფრინავები ერთხელ კიდევ მიწაზე სინჯავენ ძრავებს. 14 საათი და 40 წუთია. გადის კიდევ რამდენიმე წამი, და ჩვენი ეპოქის ეს შესანიშნავი მანქანა, ჩვენი სახელმწიფოს სიამაყე, მოსხლტა ბეტონის გზას, ავიდა ჰაერში და კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ, ჩვენი მშობლიური მოსკოვისაკენ.

იგი გააცილა ათასობით ადამიანის თვალმა, ათასობით მაღლა აწეული ხელით ჩვენი მშრომელები გამოხატავდნენ უდიდესი კმაყოფილების გრძნობას, უდიდეს მადლობას კონსტრუქტორებისადმი, რომლებმაც შექმნეს ეს შესანიშნავი მანქანა.

— მალე გვენახოთ, ძვირფასო მფრინავებო, ისევ თბილისში!

როგორც მოსკოვიდან გვაცნობეს, თბილისიდან გაფრენილი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104“ 17 საათზე და 10 წუთზე დაეშვა მოსკოვში ვნუკოვოს აეროდრომზე.

ვლ. გინზბურგი.

• • •

სურათებზე: ზევით — თვითმფრინავი „ტუ-104“ თბილისის აეროპორტზე; ქვევით — თვითმფრინავის ეკიპაჟი (მარცხნიდან მარჯვენივ): ა. ფედოროვი, ვ. ციგანკოვი, კ. საპელკინი, ვ. ფილონოვი, პ. მოსკალიოვი, ს. ლუკაშინი.

XII საჭადრაკო ოლიმპიადა

XII საჭადრაკო ოლიმპიადაზე ყოველ მატჩს ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ ბრძოლაში ოქროს თასისათვის, ჩემპიონატის პირველი ადგილებისათვის.

მერვე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ შვეიცარიის გუნდს.

კვლავ ლამაზი გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა ბრონშტეინმა შვეიცარიელ ოსტატ კელერთან პარტიაში.

საბჭოთა და შვეიცარიელ მოჭადრაკეთა სამი გადადებული პარტიის გათამაშება მოხდა 21 სექტემბერს. მსოფლიოს ჩემპიონის ბოტვინიკის შეხვედრა ბლუმთან ყაიმით დამთავრდა.

სმისლოვის პარტია ბენდთან დამთავრდა საბჭოთა გროსმაისტერის გამარჯვებით.

კერეს-ვალტერის პარტია კვლავ გადაიდო. ამრიგად, სსრ კავშირისა და შვეიცარიის გუნდების მატჩის ანგარიშია ჯერჯერობით 2,5:0,5 ქულა საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ოლიმპიადის ერთ-ერთ ლიდერს — იუგოსლავიის გუნდს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს მერვე ტურში ინგლისის მოჭადრაკეებმა. ამ მატჩის სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. მხოლოდ გროსმაისტერმა მატანოვიჩმა მოუგო ახალგაზრდა ინგლისელ ოსტატ პენროუზს.

უნგარი-ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეთა მატჩის ანგარიშია 2,5:0,5 ჩეხოსლოვაკიის გუნდის სასარგებლოდ. (ერთი პარტია გადადებულია).

მთავარ ფინალურ ტურნირში მერვე ტურის შემდეგ ლიდერი გუნდების მდგომარეობა შემდეგია: სსრ კავშირი — 22 ქულა და ერთი გადადებული პარტია, იუგოსლავია — 20,5 ქულა.

21 სექტემბერს საღამოს მთავარ ფინალურ ტურნირში გაიმართა მეცხრე ტური. (საკდესი).

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის

საბჭოთა არმიის მოსკოვის ცენტრალურ თეატრში გრძელდება მატჩ-ტურნირი სამი უძლიერესი მოჭადრაკისა, რომლებიც ერთმანეთს ეკილავიან მსოფლიო პირველობას.

ჭადრაკის მრავალი მოყვარული მოუთმენლად ელოდა, რით დამთავრდებოდა რუდენკო-ბოკოვას პარტია, რომელიც წინა დღეს გადაიდო. რუდენკომ ფიგურის დაკარგვის გამო თამაშის დაუწყებლად ცნო თავისი დამარცხება.

ამრიგად, 22-ე ტურის შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონს ბოკოვას (მოსკოვი) აქვს 9 ქულა 15 გათამაშებულ პარტიაში, რუბცოვას (მოსკოვი) — 8,5 ქულა 14 პარტიაში, რუდენკოს (ლენინგრადი) — 4,5 ქულა 15 პარტიაში. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ლექცია

24 სექტემბერს საღამოს 7 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ა. კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 35) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საზოგადოების წევრის გ. დ. ისაკიანის (ერევანი) საჯარო ლექციას თემაზე: „საბჭოთა სომხეთი მეექვსე ხუთწლედში“. ლექციის შემდეგ — ფეერადი კინოფილმი „სომხური კინოკონცერტი“.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი (დილას), პირველი მერცხლები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მეფე ერეკლე (დილას), მკაცრი ქალიშვილები (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — შემთხვევითი შეხვედრები (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უცნაური დანაკარგი (11 ს. და 4 ს.), **რკინიგზელის სახელ (ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები)** — მაია წყნეთელი (დილას), ტარიელ გოლუა (საღამოს), **ფილარმონია** — მ. ალექსანდროვიჩის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

შვილები თამარ, ტასო, სიმონ, რძალი თამარ ხარაძე, სძეები მ. მიხელაშვილი, გ. ქუტაიშვილი ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ალმასხანის ასულ ცაგარეიშვილისვანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-IX, 8 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 45. დაკრძალვა 25-IX სოფ. გუბაში (ქუთაისის რ.).

მშობლები ლალი, თენგიზ ნათესავებით იუწყებიან პატარა

მანანა თენგიზის ასულ ხოსიტაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-IX, 5 ს. პავლოვის ქ. № 21 („საქნახშირის“ დასახლება — მედქალაქი).

მეუღლე ზინა, შვილები ნიკოლოზ, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან

ივანე ზაქარიას-ძე კანდელაკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-IX 8 ს. გამოსვენება 25-IX 5 ს. მეორე ჩუღურეთის შესახვევი № 4.

შვილები გივი, ეთერ, ძმა ალექსანდრე, დები ნადია, თამარ, სიძე ლ. ჯაში, რძალი მაია ნათესავებით იუწყებიან

სონია ზოსიმეს ასულ გუდავაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-IX, 8 ს. გამოსვენება 25-IX, 5 ს. მოსკოვის ქ. № 18.

შვილი ქეთევან, რუსუდან ნიკოლაძე ოჯახით იუწყებიან

კლარა ფრანცის ასულ გურამიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-IX, 3 ს. ი. ჭავჭავაძის ქ. № 10.

შვილები სანდრო, ნადია, აპოლონ ოჯახებით იუწყებიან

ოლია საუვარელას ასულ კალატოზიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IX, 4 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, დეპოს ქ. № 32.

მშობლები ცაცა და ლადო, მარო, ოლია, მერი, ილო, მიხეილ, ალექსანდრე, ეთერ იუწყებიან პატარა

რეზო მოლოდინაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-IX, 8 ს. გამოსვენება 25-IX, 5